პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

კვირა, 23 თებერვალი 1936 წ. № 44 (4503)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

წითელი არმიის... თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ხალხთა შორის ძმობის არმიას, ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას.

ი. სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამარჯვებული ხალხის უძლეველი არმია

ომი შიგნით და ომი გარეთ... ფრონტები ყოველდღე მოითხოვენ ახალახალ ძალებს. მეფის თეთრგვარდიელი გენერლები ხან იქ და ხან აქ ცდილობენ მახვილი ჩასცენ გამარჯვებულ რევოლუციას. პოლონელი პანები უტევენ უკრაინას. ბარონი ვრანგელი შავი ზღვის ნაპირებზე თარეშობს. თოთხმეტი სახელმწიფოს გაერთიანებული ინტერვენციის რკალს ვაჟკაცურად უმკლავდება ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა. პირველი პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც მტრებით გარშემორტყმული ქმნის საკუთარ შეიარაღებულ ძალებს...

ლენინი, რესპუბლიკის თავდაცვის პირველი მეთაური და ორგანიზატორი. დღედაღამ ძილგატეხილი ზის ტელეგრაფის აპარატთან. ფრონტებს უკავშირდება, ოპერატიულ მითითებებს აძლევს. ადამიანებით ამაგრებს ზურგს და ბრძოლის ხაზს. უშუალოდ ხელმძღვანელობს ყველა ფრონტს და თვითეულს ცალცალკე...

სტალინი. პროლეტარული რევოლუციის და კლასობრივი ომების დიდი სტრატეგი. იმ ფრონტზე გაჩნდება, სადაც ყველაზე მეტი გაჭირვებაა. მებრძოლებს ამხნევებს, ფრონტს ავსებს და ახალისებს, ზურგს ამაგრებს. შეტევებს, იერიშებს აწყობს და—ყოველთვის იმარჯვებს!

სახელდახელოდ შემდგარ მუშათა წითელ რაზმებიდან, რევოლუციურ ჯარისკაცთა ლეგიონებიდან თანდათან იჭედება ჩვენი არმიის პირველი კადრები. და აი, 1918 წ. 23 თებერვალს ლენინი ხელს აწერს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტს პირველი მუშურგლეხური რეგულარული წითელი არმიის შექმნის შესახებ.

დიდი სახელმწიფო მუშაობით დატვირთული ბელადი, სამოქალაქო ომის გამარჯვებათა ორგანიზატორი და ხელისჩამდგმელი, ლენინი ნახულობს დროს იმისათვის, რომ იზრუნოს წითელი არმიის ნაციონალურ ნაწილებზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ამხანაგ ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილ წერილში იგი ავალებს ქართველ კომუნისტებს „დაუყოვნებლივ შეაიარაღონ მუშები და ულარიბესი გლეხები და შექმნან საქართველოს მტკიცე წითელი არმია“.

და მარტში უკვე ყალიბდება წითელი არმიის პირველი ქართული ნაწილი, ხოლო შემდეგ მუშაობა ფართოდ ჩაღდება და იქმნება მტკიცე, მაღალბრძოლისუნარიანი დივიზიები, რომლებსაც დღეს მუშურგლეხური არმიის რიგებში მოწინავე და საპატიო ადგილი უკავიათ.

...რა თვალის სისწრაფით გაიარბინეს შინაარსიანმა, დიდი შემოქმედებითი მუშაობით დატვირთულმა წლებმა! და რა კოლოსალურად გაიზარდა ჩვენს სამშობლოსთან ერთად ძლიერება მისი არმიისა, რომელიც ახლა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ადამიანებისაგან შესდგება და ყველაზე მოწინავე ტექნიკით არის აღჭურვილი.

ახლა მთელ მსოფლიოში ყველა გრძნობს, გარდა წვრილფეხა ავანტიურისტებისა, რომ წითელი არმია არის მშვიდობიანობის არმია. მისი დასაყრდენი, რომ საბჭოთა კავშირის ურყეველ სამშვიდობო პოლიტიკას ზურგს უმაგრებს მისი თავდაცვითი ძლიერება. მისი არმია, ჩვენი ქვეყნის საზღვრების ერთგული დარაჯი და ომის გამჩაღებელთა მრისხანე გაფრთხილება.

საუკეთესო ტექნიკით არის შეიარაღებული ჩვენი არმია. ეს ტექნიკა იმ ადამიანების ხელშია, რომელთაც შეუძლიათ სამხედრო საოცრებები მოახდინონ, შეუძლიათ სასტიკი, გამანადგურებელი პასუხი გასცენ მტერს, თუ იგი გაბედავს და თავის ღორულ დინგს შემოსჩრის საბჭოთა ბოსტანში. კიდევაც ასე ერთგულად და ფხიზლად სდარაჯობენ საბჭოთა მეომრები სოციალიზმის ქვეყნის მიუდგომელ საზღვრებს. დღისით და ღამით, დარში და ავდარში, თოვლში და ქარყინვაში, მთებსა და ველებზე, მდინარეებსა და ზღვებზე მათი ფხიზელი თვალი მუდამ გასცქერის საბჭოთა საზღვრების ხაზს და იცავს მის შეუვალობას.

ჩვენს ხალხს, ისე როგორც მსოფლიო მუშათა კლასს, კიდეც ამიტომ უყვარს ასე უსაზღვროდ წითელი არმია, მისი მებრძოლები და მეთაურები, მისი სახელოვანი მარშლები და მთავარსარდალი—ლუგანსკელი მუშა კლიმ ვოროშილოვი, რომელიც თავის თავში ანსახიერებს წითელ არმიის ყველა ძვირფას თვისებას, მის საბრძოლო მზადყოფნასა და მშვიდობისმოყვარეობას.

საქართველოს მუშებსა და გლეხებს გულმხურვალედ უყვართ წითელი არმია, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების არმია.

საქართველოს მუშებსა და გლეხებს უსაზღვროდ უყვართ ამ 15 წლის მანძილზე შექმნილი, გამობრძმედილი და გაწვრთნილი წითელი არმიის ქართული ნაწილები, რომლებიც ამაყობენ საბრძოლო პოლიტიკური მომზადების საუკეთესო მაჩვენებლებით, ნაწილები, რომლებიც რესპუბლიკას ყოველწლიურად ათასობით აძლევენ გამობრძმედილ, არმიის სკოლაგავლილ, მომზადებულ კადრებს და რომლებიც პირველი მოწოდებისთანავე ფოლადის რკალად დადგებიან ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებზე.

კიდეც ამიტომ არის, რომ ასე მჭიდრო სიყვარულის ძაფებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული არმია და ხალხი, რომელიც თავის რჩეულ, საუკეთესო შვილებს ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჰგზავნის.

ჩვენი არმია მსოფლიო პროლეტარიატის არმიაა. მისი „ძალა იმაში მდგომარეობს—ამბობს დიდი სტალინი,—რომ იგი თავის არსებობის პირველ დღიდანვე იზრდება ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, სხვა ხალხთა პატივისცემის საფუძველზე, ყველა ქვეყნის მუშათა სიყვარულისა და პატივისცემის საფუძველზე, ქვეყნებს შორის მშვიდობიანობის შენარჩუნების და დამკვიდრების საფუძველზე“.

ამ პრინციპებზეა აღზრდილი თვითეული წითელი არმიელი, რომელსაც შეგნებული აქვს უდიდესი მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე. ამ პრინციპზეა აღზრდილი მთელი წითელი არმია, სტალინის უშუალო, მშობლიური მზრუნველობით და ხელმძღვანელობით გამოჭედილი და გაკაჟებული არმია, რომელიც მზადაა პირველი მოწოდებისთანავე ფოლადის გულ-მკერდით დაიცვას ლენინ-სტალინის საქმე და რომელიც შეუვალ სალტედ შემორტყმია სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს.

მხურვალე სალამი ამ არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს!

წითელი არმიის ქართული ნაწილების 15 წლისთავის აღსანიშნავი **საზეიმო სხდომა**, რომელიც უნდა შემდგარიყო 23 თებერვალს, **გადატანილია 26 თებერვლისათვის**

15 წელი სოციალიზმის სადარაჯოზე

(მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების 15 წლისთავი)

ს. ბუაჩიძე

ფრუნზის სახ. მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მეთაური და სამხედრო კომისარი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შეარყია მსოფლიო კაპიტალის ბჭეები და დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა რუსეთში.

რუსეთის პროლეტარიატი ულარიბეს გლეხობასთან ერთად მთელი რიგი წლების განმავლობაში, ნაციონალური განაპირა მხარეების მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებული, აწარმოებდა ბრძოლას რუსეთის გამხეცებული ბურჟუაზიის, მემამულეების და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ინტერვენციის წინაამდეგ.

ორი სამყაროს შეტაკებიდან პროლეტარები გამარჯვებულნი გამოვიდნენ იმიტომ, რომ მათ ზრდიდა ლენინ - სტალინის პარტია და მათ გამარჯვებას აწყობდნენ მუშათა კლასის და პარტიის საუკეთესო შვილები, თავმოყრილნი გმირული მუშურ - გლეხური წითელი არმიის რიგებში.

საქართველოს მუშები და გლეხები, რომლებმაც დროებითი დამარცხება განიცადეს (1917-დან 1921 წლამდე), ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლისის კაპიტალის და მათი ლაქიების - ქართველი მენშევიკების ქუსლქვეშ გმინავდნენ.

მენშევიკთა ბატონობის მთელ პერიოდში საქართველო წარმოადგენდა განუწყვეტელ აჯანყებების ასპარეზს — დუშეთში, სამეგრელოში, კახეთში ქართლში, სამხრეთ-ოსეთში და სხვ.

მენშევიკების ჯალათი, ავანტიურისტი ჯუღელი, გადაჰყურებდა რა სამხრეთ-ოსეთის ცეცხლწაკიდებულ სოფლებს, სწერდა: „ყველგან მოსჩანს ცეცხლი. იწვის აჯანყებული გლეხობის სახლები... სახლები იწვის ყველგან, იწვის, იწვის... („ჯუღელის დღიურიდან: „მძიმე ჯვარი“).

მენშევიკური სახელმწიფოს მეურნეობის ნგრევა, მოსახლეობის განუწყვეტელი აჯანყებანი, განუწყვეტელი ომები, უჩინარი ბრძოლა არმიასა და მენშევიკურ გვარდიას შორის, რჩეული ოფიცრობის ყოველდღიური ქეიფი, ჯარისკაცთა ცემა, მასობრივი დეზერტირობა, ეროვნული შუღლის გაღვივება და „რესპუბლიკის“ წინამძღოლთა ცინცვა და მუცელზე ხოხვა ინგლისელ ინტერვენტთა წინაშე იმ დროს, როცა მოსახლეობა და ჯარისკაცები შიმშილით იხოცებოდნენ და ხმელი მჭადიც კი არ ჰქონდათ—აი მენშევიკური წყობილების და შეიარაღებულ ძალთა დამახასიათებელი სახე.

ჯერ კიდევ 1905 წლიდან მეფის თვითმპყრობელობის, მეჭარხლეების, თავადაზნაურობისა და მემამულეთა წინააღმდეგ ქართველი მუშების და რევოლუციური გლეხების ბრძოლაში ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით და ქართველ მენშევიზმთან ბრძოლაში იჭედებოდა მშრომელთა ინტერესების დამცავად შეიარაღებული ბრძოლის სახელოვანი ტრადიციები.

ქართველი მენშევიკები არამც თუ სჩაგრავდნენ მუშებსა და გლეხებს არამედ ისინი საქართველოს ტერიტორიას ამზადებდნენ თეთრ გვარდიელთა და იმპერიალისტთა პლაცდარმად, რათა აქიდან თავს დასხმოდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის პურით მდიდარ სამხრეთ ნაწილს და აზერბეიჯანის ნავთს.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც ვერ გაუძლეს ჩაგვრასა და ნგრევას, სილატაკესა და შიმშილს, 1921 წლის თებერვალში დაიწყეს აჯანყება და მიმართეს თავიანთ კლასობრივ ძმებს—რუსეთის პროლეტარებს, რათა ისინი დახმარებოდნენ ბრძოლაში მშრომელთა ძალაუფლების დაპყრობისა და განმტკიცებისათვის.

ხალხთა დიდი ბელადი ამხ. **სტალინი** მოსკოვის საბჭოს პლენუმზე, მუშურ - გლეხური წითელი არმიის ათი წლისთავთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: **„წითელი არმიის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ხალხთა შორის ძმობის არმიას ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას“.**

მუშურ - გლეხური წითელი არმია ანსახიერებდა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების იდეას და მისი დახმარებით საქართველოს მშრომელებმა 1921 წლის თებერვალში დაამხეს მენშევიკთა ბატონობა.

ამით ჩაიშალა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის მომზადების გეგმა და განადგურებულ იქმნა ქართველ აზნაურთა და მემამულეთა ბუდე, რომლებიც სისხლს სწოვდნენ მშრომელებს. საქართველოს მშრომელებს საშუალება მიეცათ შესულიყვნენ განთავისუფლებული ხალხთა საერთო ოჯახში და შესდგომოდნენ სოციალიზმის მშენებლობას.

საქართველოს მუშებისა და გლეხების შეიარაღებას **ლენინი** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ამ საკითხს იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ პირობად აყენებდა.

მოღალატე მენშევიკური მთავრობა ნამარცხი ქონებით ჯერ კიდევ არ იყო ბათომიდან გაქცეული, როცა ხალხთა დიდი ბელადი **ლენინი** ამხ. **ს. ორჯონიკიძისათვის** გამოგზავნილ წერილში, სალამს უძღვნიდა რა საქართველოს რევკომს და ქართველ კომუნისტებს, 2 მარტს სწერდა: **„განსაკუთრებით ვთხოვ** მათ (საქართველოს რევკომს და ქართველ კომუნისტებს. ს. ბ.) **მაცნობონ, არსებობს თუ არა ჩვენსა და მათ შორის სრული თანხმობა სამ საკითხზე. პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შეაიარაღონ მუშები და ულარიბესი გლეხები და შექმნან საქართველოს მტკიცე წითელი არმია“.**

და საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებიდან მოეწყო სამი ქართული ბრიგადა: ერთი საკავალერიო ბრიგადა და სპეციალური ნაწილები, რომლებიც XI არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ.

ნაწილები ძირითადად იქმნებოდა ძველი არმიის ბაზაზე, იმ არმიისა, რომლის უდიდესი მასა 1921 წლის თებერვალში მუშებისა და გლეხებისაგან შესდგებოდა. მენშევიკები არ ენდობოდნენ მას და თავიანთი შეიარაღებული ძალების სიმტკიცისათვის ინახავდნენ ოფიცერთა ნაწილებს, ეგრეთწოდებულ „სახალხო გვარდიას“, კადეტს და აზნაურთა, თავადთა და სპეკულანტთა რაზმებს სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც საკუთრივ მენშევიკების არმია იდგა საკმარისი იყო ჩვენი წითელარმიელების გამოჩენა, რათა ჯარისკაცები შინ გაქცეულიყვნენ და თან წაეღოთ იარაღი, ბევრი მათგანი თავიანთ სოფელში თვითონ აწყობდა ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ არალეგალურად მომუშავე კომუნისტებთან ერთად.

მხოლოდ კუდა - აზნაურები, თავადები, კულაკები და შეძლებულები **გაჰყვნენ გაქცეულ მენშევიკურ მთავრობას.**

ჩვენი ნაწილების მშენებლობაში ყველაზე მწვავე მომენტი იყო **კადრების საკითხი.**

წითელ არმიასთან ერთად ჩამოსულმა მცირერიცხოვანმა ამხანაგებმა, ამხ. მ. ელიავამ, პ. ოლიაშვილმა, მ. ჭავჭანიძემ და სხვებმა დახმარება გაგვიწიეს თავისი გამოცდილებით და ცოდნით ქართველი ნაწილების მშენებლობაში.

ვ. ი. ლენინი, გრძნობდა რა ქართული ნაწილების მშენებლობის სიძნელესა და სირთულეს, ჯერ კიდევ 1922 წლის თებერვალში სწერდა ამხ. ს. ორჯონიკიძეს: **„აბსოლუტურად საჭიროა, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის აუცილებლად გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს.**

რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაუყოვნებლივ განავითარეთ და გააძლიერეთ საქართველოს წითელი არმია.

დაე, დასაწყისისათვის იყოს ერთი ბრიგადა, დაე, ამაზე ნაკლებიც კი, 2-3 ათასი წითელი კურსანტი, მათ შორის 1500 კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს შეეძლოთ (როგორც კადრებს) გაიშალონ არმიად, როცა საჭირო იქნება—ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შეიძლება სტალინმა უფრო დაწვრილებით დაუმატოს შესრულების სამხედრო პოლიტიკურ საშუალებათა შესახებ“. (ლენინი, თხზულებათა კრებული ტ. 27).

ლენინის ეს მითითებანი საფუძვლად დაედო წითელი არმიის ქართული ნაწილების შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს ბოლშევიკთა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა კომუნისტთა მობილიზაცია და გადაისროლა ისინი ქართული ნაწილების რიგებში. ბევრმა მათგანმა შეითვისა წითელი არმიის საუკეთესო ტრადიციები, ისინი მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და ამჟამად ნამდვილ ბოლშევიკურ ხელმძღვანელებს და მეთაურებს წარმოადგენენ.

ამხ. ს. ორჯონიკიძის მუდმივი მზრუნველობის შედეგად ახლა ჩვენ ქართულ დივიზიებში გვყავს იმ მეთაურთა 95 პროცენტი, რომლებ-

(დასასრული მე-2 გვ.).



ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი.

ამხ. ს. ორჯონიკიძე—მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების ორგანიზატორი.

ბრძანება

სსრ კ-ის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 22

1936 წლის 23 თებერვალი

ქ. მოსკოვი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

გილოცავთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის თვრამეტ წლისთავს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა, მთელი ჩვენი ძლიერი ხალხი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წითელი არმია კარგად იყოს აღჭურვილი, შეიარაღებული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და შევსებული საბჭოთა მიწის საუკეთესო შვილებით.

საყოველთაო სიყვარულით, ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოსილი წითელი არმია მტკიცდება და დღითი-დღე ადიდებს თავის საბრძოლო ძლიერებას. წითელი არმიის სტახანოველები, ჩვენი შესანიშნავი ადამიანები: მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, წითელფლოტელები, ქიმიკოსები, ინჟინრები, კავალერისტები, მსროლელები, მესანგრეები, მეკავშირეები, ჩვენი სამხედრო რკინიგზელები—იარაღის ყველა გვარეობის მეომრები და მეთაურები იძლევიან ტექნიკის დაუფლების, საბრძოლო მომზადების განუწყვეტელი სრულყოფის საუცხოო ნიმუშებს.

ურყევ კედლად სდგას წითელი არმია სოციალიზმის ქვეყნის საზღვრებზე, გზას ულობავს სამხედრო ავანტურების წამომწყებთ და მტკიცედ იცავს მშვიდობიანობის პოლიტიკას.

ყველა ჩვენ, წითელ არმიის მეომრები, მზადა ვართ მთელი ჩვენი ძალით, ნებისყოფით და უნარით ძლევამოსილად დავიცვათ დიადი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანობა, ღირსება, ხელუხლებლობა, დოვლათი და შრომა. ჩვენ კიდევ უფრო დაჟინებით, ბოლშევიკური ენერგიით და შეუპოვრობით ვიმუშავებთ ჩვენი რიგების საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო მაღალ ორგანიზებულობას და კულტურას მივაღწევთ მთელს ჩვენს საარმიო ცხოვრებასა და მუშაობაში.

ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მანქანა ახლა განსაკუთრებული ძალით მუშაობს ომისათვის. წითელი არმია მუდამ მზად, მუდამ ფხიზლად უნდა იყოს.

კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ჩვენი პარტიის, **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო.

გაუმარჯოს გმირულ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის
მარშალი კ. **ვოროშილოვი.**

ქართული ნაწილების მიერ 15 წლის იუბილეს დღესასწაულის შესახებ

ბრძანება

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისადმი

ქ. ტფილისი

1936 № 19 წ. 21 თებერვალი.

1936 წლის 25 თებერვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 15 წელი უსრულდება.

საქართველოს მშრომელნი, თვითმპყრობელობის ჩაგვრისა, დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის ერთგული ლაქიების თვითნებობისა, პირსისხლიან მენშევიკთა ბატონობისაგან განთავისუფლებულნი, ლენინ სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით 15 წელია აშენებენ თავისუფალ, სახარულო, ბედნიერ, შეძლებულ სოციალისტურ ცხოვრებას.

ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის უდიდესი აყვავება, ხალხის უმართლესი მასების დიდი შემოქმედებითი ნიჭის სრული აყვავება.

სოციალისტური მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებებმა, კულტურის უმაგალითო განვითარებამ, რაც მუშათა და კოლმეურნე გლეხობის გმირული ბრძოლით არის მოპოვებული, გამოიყვანეს საბჭოთა საქართველო საბჭოთა კავშირის სახელოვან ორდენოსან რესპუბლიკათა პირველ რიგებში.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელებთან მხარდამხარ სჭედდნენ თავიანთი რიგების საბრძოლო ძლიერებას წარმატებებს ქართული ნაწილების მეთაურები და უფროსთა შემადგენლობა, რომლებიც დღეს თავიანთ 15 წლისთავს დღესასწაულობენ.

ქართული დივიზიის ნაწილები, შექმნილნი პარტიის უდიდესი ბელადების ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებებით, მეთაურთა, უფროსთა შემადგენლობის და მეომართა კადრები, აღზრდილნი ლენინურ-სტალინური პარტიის მიერ, დღეს თავიანთ 15 წლისთავის იუბილეს გრანდიოზული წარმატებებით ხვდებიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ყველა უბანზე.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთა წარმატებებთან მხარდამხარ, მათთან ხელიხელჩაკიდებულნი, მჭიდრო, დარაზმულ ინტერნაციონალურ ოჯახად სჭედდნენ ქართული ნაწილების მეომრები, მეთაურები და უფროსთა შემადგენლობა თავიანთი რიგების ურყევ საბრძოლო სიმტკიცეს.

მრავალი ათასობით იზრდებოდნენ სახელოვანი, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულნი წითელარმიელები.

ლენინურ - სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. იგი მდგომარეობს მეომართა და მეთაურთა მაღალ სოციალისტურ კულტურასა და სოციალისტურ შეგნებულობაში, იგი მდგომარეობს მძლავრი საბრძოლო ტექნიკის ათვისების გრანდიოზულ წარმატებებში, იგი — ეს ასეულ ათასობით მოწინავე სტახანოველ მეომრებშია.

ვულოცავ ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ქართული ნაწილების მეომრებს, მეთაურებს და უფროსთა მთელ შემადგენლობას სახელოვან 15 წლისთავს.

დაე, ჩვენი სამშობლოს მტრების თავზარდასაცემად, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა გმირულ ნაციონალურ ნაწილებთან ერთად, მთელ უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად განმტკიცდნენ სახელოვანი ქართული ნაწილები.

გაუმარჯოს მძლავრ, უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის გმირ სარდალს, საბჭოთა კავშირის რკინის მარშალ კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვს.

გაუმარჯოს წითელი არმიის უსაყვარლეს მეგობარს, პარტიის ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს — ამხ სტალინს.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის მე-2 რანგის სარდალი:
ლევანდოვსკი.

საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიის ქართული ნაწილების საუკეთესო სტახანოველები: მარცხნიდან-მარჯვნივ: (მე-2 დივსაკავშირო. რადისტი) გიორგი კირვალიძე, ლადო შალაშვილი, უნცროსი მეთაური შალვა ჯავარშეიშვილი, ტელეგრაფისტი გერონტი კაკანაძე ათეულის მეთაური მუხთარ სამადოვი, მე-6 მსრ. ლეგიონის ზემდეგი სერგო სარქისოვი, მე-6 ლეგიონის ათეულის მეთაური ვალერიან ლომთათიძე, უმცროსი მეთაური რადისტი გრიგოლ ჯოჯუა.

ბრძოლისა და გამარჯვების 15 წელი

15 წლის მანძილზე სტალინის სახელობის 1-ლმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშით ხელში, ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების ყველა დარგში.

დივიზიამ არაერთხელ დაამტკიცა სოციალიზმის საქმისთვის თავისი ურყევი ერთგულება და თავდადება.

დივიზია 15 წლის მანძილზე გაიზარდა და გაკაჟდა ყველა ჯურის კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში. მას ახლა სათანადოდ გამობრძმედილი ურყევი საკუთარი კადრები ჰყავს.

დივიზიის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში ჩვენ არ გვყავდა საკუთარი წითელ მეთაურთა კადრები. ძველ მეთაურთა შემადგენლობის 50 პროც. თავად-აზნაურებისაგან შესდგებოდა და, ბუნებრივია, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ხოლო მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსულ ძველ მეთაურთა საუკეთესო ნაწილი თავიდანვე კეთილსინდისიერად შეუდგა მუშაობას დივიზიის ნაწილების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის.

პირველ ხანებში საკუთარი კადრების შექმნის საკითხი მეტად მწვავედ იდგა ჩვენს წინაშე, მაგრამ ლენინის მითითებით და ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** პრაქტიკული დახმარებით ეს საკითხიც მალე გადაიჭრა. დივიზიის ნაწილების ჩამოყალიბების პირველ დღიდანვე პარტიული ამხანაგების მობილიზაციით, 1922 წელს დივიზიის ნაწილებმა თავის რიგებში მიიღეს საუკეთესო ბოლშევიკები. მათ დაემატა მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსულ ახალ მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც 1922—24 წლებში ქართულ მეთაურთა გაერთიანებულმა სკოლამ პირველი და მეორე გამოშვების სახით მისცა დივიზიას.

15 წლის განმავლობაში გაიზარდნენ და განმტკიცდნენ პოლიტხელმძღვანელთა კადრები. ამჟამად დივიზიას ჰყავს სათანადოდ გამობრძმედილი მეთაურთა შემადგენლობა და პოლიტმუშაკები, რომელთაც შესწევთ ბრძოლის უნარი რთულ პირობებში უხელმძღვანელონ მებრძოლებს.

პარტწევრი და კომკავშირელი მეთაურთა შემადგენლობაში 75 პროცენტია, მუშა 35 პროც., უმაღლესი და საშუალო განათლებისა—სამოცი პროცენტამდე.

დივიზიის მეთაურთა შემადგენლობაში გვყავს რიგის წითელი არმიელებისაგან აღზრდილი მეთაურები. მათგან 40 პროცენტზე მეტს უკავია საშუალო და უფროს მეთაურთა თანამდებობა. საუკეთესო კადრი ჰყავს პოლიტშემადგენლობას, რომელშიც 65 პროცენტი მუშაა. გაიზარდა დივიზიის შემადგენლობის პოლიტიკური და კულტურული დონე. მებრძოლები სწრაფად ითვისებენ საბრძოლო შეიარაღების ტექნიკას. ამას ხელს უწყობს მათი საერთო განათლების მაღალი დონე. მებრძოლთა 60 პროცენტს საშუალო განათლებით შეიარაღებული ამხანაგები შეადგენენ.

დივიზიის მებრძოლები და მეთაურთა შემადგენლობა მტკიცედ არიან შემჭიდროვებულნი ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ.

1931 წ. დივიზიის წითელარმიელთა და უფროსთა შემადგენლობის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ქართულ მსროლელ დივიზიას ეწოდოს ჩვენი ბელადის ამხანაგი სტალინის სახელი, დაკმაყოფილებული იქნა უზენაესი ორგანოს მიერ და დივიზიას დიდი სტალინის სახელი მიენიჭა.

დივიზიის წითელარმიელთა და უფროსთა შემადგენლობამ მთელი თავისი მნიშვნელობით დააფასა ეს დიდი სახელწოდება, — პირველი ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სასწავლო საბრძოლო პროგრამა საამაყო მაჩვენებლებით შეასრულა, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქში პირველი ადგილი დაიკავა და ამიერკავკასიის მშრომელთა უმაღლესი ჯილდო—წითელი დროშა დაიმსახურა.

სტალინის დივიზიამ 1932 სასწავლო წელიც სასახელო გამარჯვებით დაამთავრა და პატაკით წარსდგა მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის წინაშე.

სტალინელებმა შეინარჩუნეს წინა წლის წარმატებები და დაიმსახურეს კ. წ. დ. არმიის რევსამხ. საბჭოს საბრძოლო წითელი დროშის ორდენი და ა.-კ. საკ. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უმაღლესი ჯილდოები—წითელი დროშა.

ასეთსავე საამაყო მაჩვენებლებზე პატაკი გაუგზავნა დივიზიამ 1934-35 სასწავლო წელს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინსა და რკინისებურ სახკომს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ვოროშილოვს.

მ.გ.წ. არმიის ქართული ნაწილების 10 წლისთავზე საქართველოს მთავრობამ უმაღლესი ჯილდოთი—შრომის წითელი ორდენით დააჯილდოვა დივიზიის მებრძოლები და 17 მეთაური.

განსაკუთრებული გმირული ბრძოლისთვის დივიზიის ყოფილ 5 წითელარმიელს მიღებული აქვს საბრძოლო წითელი დროშის ორდენები. ეს ამხანაგები ამჟამად სოციალისტური მშენებლობის პასუხსაგებ უბნებზე მუშაობენ.

გასულ წელს სტალინის დივიზია აიარა ზიქარის უღელტეხილზე და ბრწყინვალედ შეასრულა საბრძოლო ამოცანები, რაც აღნიშნული იყო ამხანაგ **ვოროშილოვის** მიერ დივიზიის სარდლობისათვის გამოგზავნილ დეპეშაში.

დივიზია არ სჯერდება მიღწეულ წარმატებებს. სტახანოვური მუშაობის ფართოდ დანერგვით იგი ბოლშევიკურად იბრძვის ჩვენი საყვარელი სახკომის მიერ 1936 სასწავლო წლის დასახული ამოცანების სავსებით და მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის, დივიზიის სტახანოვურ დივიზიად გადაქცევისთვის.

გ. ბაახია.

15 წელი სოციალიზმის სადარაჯოზე

ამხ. ს. ბუაჩიძის წერილის დასასრული

საც ჩვენი სკოლა აქვთ გავლილი და ასეულის მეთაურთა 90 პროცენტი ჩვენი დივიზიების მიერ აღზრდილ წითელარმიელებისაგან შესდგება. მთელი უფროსშემადგენლობის 76 პროცენტი პარტიის წევრი და კანდიდატია, ხოლო 81 პროცენტი—კომკავშირელებთან ერთად. უფროსშემადგენლობის 60—65 პროცენტი მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან არის გამოსული. მენშევიკური ოფიცრობის უმრავლესობა და საქართველოში დარჩენილი მეფის ოფიცრობა კი არ იყო გამოსადეგი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებისათვის.

მათგან მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი მუშაობს ახლა მუშურ-გლეხური მეთაურთა კადრების რიგებში, როგორც ნაცადი და შემოწმებული მეთაურები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მჭიდროდ დაუკავშირეს წითელი არმიის ცხოვრებასა და ბრძოლას და რომლებიც მოწინავე მეთაურები არიან.

ქართული ნაწილების არსებობის 15 წელი—ეს არის მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის სადარაჯოზე პროლეტარული სიფხიზლის წლები.

თავადები, აზნაურები, ხუცები, მენშევიკები და მთელი კონტრრევოლუცია, რომლებმაც დაჰკარგეს მიწა და ბატონობა, ოცნებობდნენ, უცხოეთის კაპიტალისტთა დახმარებით დაბრუნებოდნენ ხელისუფლებას.

ჩვენი ნაწილებისათვის დიდ შემოწმებას წარმოადგენდა მენშევიკური ავანტურა 1924 წელს, როცა რიგითმა მეომრებმაც და უფროსშემადგენლობამაც ცხადჰყვეს ღირსეული სიმტკიცე და ერთგულება პარტიის საქმისა და პროლეტარული დიქტატურისადმი.

წლითიწლობით ძლიერდება ქართული ნაწილების კულტურული ზრდა. ყველა ნაწილში მოიპოვება ბიბლიოთეკები, კლუბები.

ჩვენს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ იარაღით ხელში თავის ნამდვილი სამშობლოს დაცვის უფლება ენიჭება ისეთ ეროვნებებს, რომლებსაც მეფის და მენშევიკური ხელისუფლება არ აძლევდა იარაღს და არ იწვევდა სამხედრო სამსახურში. ქართულ ნაწილებში შედიან აფხაზები, აჭარლები, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები თურქები და სომხები. სულ ქართულ ნაწილებში შედის თორმეტამდე სხვადასხვა ეროვნება. ჩვენი პარტიის საყვარელი ბელადი ამხ. **სტალინი** აღნიშნავს:

„ჩვენი წითელი არმიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე იზრდება ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, სხვა ხალხთა პატივისცემის საფუძველზე, ყველა ქვეყნის მუშათა სიყვარულისა და პატივისცემის საფუძველზე, ქვეყნებს შორის მშვიდობიანობის შენარჩუნების და დამკვიდრების საფუძველზე“.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ამ სახელოვან ტრადიციებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან ქართული ნაწილები.

წითელი არმიის ქართულმა ნაწილებმა მრავალი სიძნელე გადალახეს თავისი ზრდის და განმტკიცების გზაზე და ახლა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მოწინავე დივიზიათა რიგებში იმყოფებიან.

მეომართა და უმცროს მეთაურთა ძირითადმა მასამ თავისი ამტანობით, მოძრაობისა და ცეცხლის შეთავსების უნარით, ტექნიკასთან ურთიერთმოქმედების უნარით, სწრაფად გადაადგილის და ფლანგებზე გავლის უნარით მოგვცა მუშაობის აი შედეგები. ამას მოწმობს იმ მაღალმთიანი ლაშქრობის შედეგები, რომელიც 1935 წელს გაიმართა. ამას მოწმობს **ზიქარის უღელტეხილი და ყაზბეგი.**

სტახანოვურმა მოძრაობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქართულ ნაწილებში. დივიზიას ჰყავს ბევრი მეთაური და მეომარი, რომლებიც სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს იძლევიან.

ჩვენს ნაწილებს ჰქმნიდა და ზრდიდა ლენინ-სტალინის პარტია.

ჩვენი ნაწილების შექმნისა და გამოზრდისათვის ყოველ დღე მუშაობდა ამხ. **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლი ამხ. **სერგო ორჯონიკიძე.**

ჩვენს ნაწილებს ჰქმნიდა საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ი. **ეგოროვი** და ჩვენი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომ ზრდას აწყობს არმიის მე-2 რანგის სარდალი **მ. კ. ლევანდოვსკი.**

დიდია წით. არმიის ქართული ნაწილების მიღწევები 15 წლის განმავლობაში.

ეს არის მეთაურთა შემადგენლობის დაუღალავი მუშაობის შედეგი, ეს არის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში პარტკომკავშირულ ორგანიზაციათა ავანგარდული როლის უზრუნველყოფის შედეგი, ეს არის წითელარმიელთა მთელი მასის მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ლენინისა და **სტალინის** პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების შედეგი.

ეს აგრეთვე არის იმის შედეგი, რომ წითელი არმიის ქართული ნაწილების უდიდეს შემოქმედებით მუშაობას და ბრძოლას საბრძოლო პოლიტიკური მომზადების მწვერვალების დაუფლებისათვის თვალს ადევნებდნენ, სისტემატურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

ამხ. სოსო ბუაჩიძე

ვ. დარასელი

ქართველი ჩაპაევი*)

იქ, ერთი ხე დგას, როგორც ირემი
რქა დატოტილი, ყელმოღერილი...
შემდეგ ძური წევს როგორც ომედა,
სიმღერიანი და შრომის წყრილი.
იქ, ერთი ხე დგას, როგორც ირემი
და პურის ველი მოქარგულია,
შემდეგ ველია, ის ადგილები,
სადაც კიკვიძის გრიგალს უვლია.
თეთრი სახლები ღიმილით სხედან,
როგორც გედების თეთრი კრებული
და სახენათელ მანქანებად მხვდება
მარი დემჩენკო გახარებული.
ქუჩები ღელავს, როგორც ყვავილი
გაღიმებულა ლამაზ ფერებით...
ქება ლენინს,
ქება სტალინს
და სიხარულს,
ბედნიერებას.

○

მზეში ცვარმოფანტულ სერზე მაჩვენა
გმირის ხმალის და შუბის სიმარჯვე,
როგორ იპყრობდა მისი მარჯვენა
ლეგენდარული ცეცხლის სისალე.
ვაილს უთქვია:
მამვრალთა ბრძოლებს
ითიოს სტალინის ძახილი გაშლის,
და მეც ვარწყივი, და ჩემი ლონეც
არის გრიგალთა გუგუნი მთაში.

○

ხალ გოგონები შენზე მღერიან,
იქ ზუბრილოვის ცის ხალამია,
ხალ მტრების ტყვია შენ მოგრევია
თურმე ბილიკი აღარ ამოვა.
ირგვლივ სახლები ღიმილით სხედან
როგორც გედების თეთრი კრებული,
მიხვალ და მარია დემჩენკოს ლეგა
დაგხვდება მარად გახარებული.
ორდენოსნები თავს მოიყრიან
და სიყვარულით მოგაგონებენ
სადაც შლაპრებს და ლექსებს იტყვიან
შენზე ლამაზი ცის გოგონები.

○

— კიკვიძეს ერთი ლურჯა ჰყოლია—
თვით მერომელის ცხენის ჰადარი...
კიკვიძეს ერთი ხმალი ქონია
შეუპოვრობა დიდი სარდალის.
კიკვიძეს ერთი გული ჰყოლია
და მისი მსგავსი აღარსად არი—
კიკვიძემ ის თან გაიყოლია
და აღარ ცოცხლობს ჩვენი სარდალი.

○

ერთის მაგიერ დახვდა თვრამეტი,
ტყვიით გააჩნეს ტყე და ტაფობი,
მაგრამ კიკვიძემ შუაღამემდე
ყველა დაჟარა ორად ნაპობი.
დილით იხილეს ნაპერ-ნაპერად
ეყრნენ მტრები იქ უცხენოთა,
ვაჩილს რაზმდა ტყვეთ მარჯვენა
და მზეს ტალღის თითქოს რცხვენოდა.

○

კიკვიძემ ბრძანება ხაჭმე გათავდა
მტრები ამაღამ დაიჭირეტებთ...
იხილეს ტყვეები გაუმართავად
მოხუცებულნი და პირტიტველნი.
მათ შორის ხუთმა „პატივისცემით“
მუხლი იყარეს კიკვიძის წინა—
ხუთივეს ისე დიოდა ცრემლი
როგორც მოღრუბლულ კოლხიდის
წვიმა.
—მეგობრებო ვართ, ქართველები ვართ,
ერთი სისხლის ვართ, ძმაო გვიხსენი...
მოყვრები ვუყვეთ ამიერიდან...,
შენი ხმალი და ჩვენი კისერი.
ის დუმდა...
მაგრამ კიკვიძე
იმ ხუთთან ერთად დიდხანს არ ჩანდა.
დილით კი ნახეს: ქარის კვილზე
თოვლი დაჩვრეტილ ცხედრებს
მარხავდა.
იდგა კიკვიძე დიდხანს დუმილით
და მაუზერში ვაზნებს აწყობდა,
შემდეგ შეირხა აბრეშუმივით
მტერს დახედა და წელში გასწორდა.

○

დაიჭრა ერთი რაზმელი მკერდზე
სისხლი მოჩქეფს და სახე უცინის.
ეკერის ღარიბს და დანგრეულ კედელს
ის ხუთქვეს მხოლოდ რევოლუციით.
კიკვიძემ ნახა:
სწრაფად მშვიდრულად
გადაიხსნა მკერდზე პერანგი,
კაცი, რომელიც გათავებულა
გამოაცოცხლა გათენებამდის.
კიკვიძე იმედს ყველას აწვდიდა—
და სიყვარულის გამომხატველი—
პარტიზანებს ისე ახსოვდათ
როგორც საკუთარ ძმათა სახელი.

○

დაეცა მაშინ, როცა არავის
აღარ ეგონა შენი დაცემა—
ასე ამბობდნენ—დაუღალავი
მას ლურჯა ისევ გაიტაცებდა.
მაგრამ გაწყვეტილი იყო ბუნება...
თითქოს მოვიდა ცის გაოხრება—
არ გვჯერა, რომ შენ მოგადუნებდა
თუნდ მეთოთხმეტე ტყვიის მოხვედრა.

○

ასე მღერიან და მათი ხაზი
ანთებულია მოგონებით—
მე საკუთარი ყურით ვისმინე
შენზე სიმღერა გოგონების.

---

*) ავტორი საქ. მწერალთა კავშირის მიერ მივლინებულია ლეგენდარული გმირის—კიკვიძის დივიზიის ბრძოლების ადგილებში მასალების შესასწავლად.

სტალინის დივიზიის მოწინავენი

დიდი სტალინის სიტყვამ სტახანოველთა საკავშირო თათბირზე მძლავრი გამოძახილი ჰპოვა სტალინის სახ. დივიზიის ყველა ნაწილში, სტახანოვურად მუშაობა მთელი დივიზიის შემადგენლობის ყოველდღიურ საბრძოლო პროცესად იქცა.

სტალინელები ბოლშევიკურად ასრულებენ ამხანაგ **ვოროშილოვის** საბრძოლო დავალებას მუშაობაში სტახანოვური მეთოდის დანერგვის შესახებ. დივიზიას ჰყავს საამაყო ადამიანები — **სტახანოველები**, რომლებიც ოსტატურად ეუფლებიან ტექნიკას, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებენ ნორმებს.

არტლეგიონის შესანიშნავი სტახანოველები და სტახანოვური ათეულები არიან:

ათმეთაური **ყუფაძე** (კომოფი), რომელმაც ბატარეაში პირველმა გააჩაღა სტახანოვური მუშაობა. მისი ათეული მთლიანად სტახანოვურია. ამავე ნაწილში 88 სტახანოველია, არტლეგიონს კიდევ ჰყავს სტახანოვური ათეული. მისი მეთაური ამხანაგი **სიმონიშვილია.**

მე-4 ლეგიონსაც ბევრი სტახანოველი მებრძოლი და მეთაური ჰყავს: მეთაური ამხ. **გირკვილიანი**, ოცმეთაური ამხ. **წიტაიშვილი** და ათმეთაური ამხ. **მაჩაგელიშვილი**, რომლის ათეული მთლიანად სტახანოვურია.

მეთაური **ისმაილ გირკვილიანი** დაეუფლა სროლის თეორიას და ტექნიკას. ის ვაზნების 50 პროცენტით და დროის 60 პროცენტით შემცირებით ასრულებს ყველა სახის ვარჯიშობას. როთაც დაიკავა ოლქში პირველი და მ. გ. წ. არმიის მასშტაბით მესამე ადგილი. ასეულს ეთვლება წითელარმიელთა საუკეთესო მსროლელთა ჯაჭვში. მან დაარღვია სროლის თეორიაში მოცემული ნორმები. მისმა ასეულმა საუკეთესო შეფასება მიიღო სროლაში. მიღებული აქვს 26 მადლობა და 32 საჩუქარი.

სტალინის დივიზიას კიდევ ჰყავს ათეული და ასეული სტახანოველები, რომელთა ჩამოთვლა ყველასი ძნელია. მათი სახელით და მიღწევებით ამაყობს მთელი დივიზია.

წითელი არმიის ქართული ნაწილების სტახანოველები. მარჯვნიდან-მარცხნივ: ოცეულის მეთაური ამხ. გიორგობიანი, უმცროსი მეთაური იანტბელიძე, რადისტი სიხარულიძე, ქვემეხის უფროსი ბოგვერაძე და ათეულის მეთაური მაღლაკელიძე.

დ. ბაქრაძე

მეოთხე ქართ. მსრ. ლეგიონის მეთაურ-კომისარი

როგორ იჭედებოდა მეთაურთა კადრები

(მოგონება)

1921 წელს, მენშევიკური ხელისუფლების ლიკვიდაციისა და მენშევიკური ჩაგვრისა და ძალადობისაგან საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების შემდეგ მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი **ლენინი** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნასა და განმტკიცებას. უმთავრესი, რასაც პირველ ყოვლისა ყურადღებას აქცევდა **ლენინი**, ეს იყო წითელ მეთაურთა საკუთარი კადრების შექმნა. ყველასათვის ცნობილია ამ საკითხში **ლენინის** მითითებები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. **სერგო ორჯონიკიძისადმი.**

მეთაურთა საკუთარი კადრების შექმნის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა მეთაურთა ქართულმა სამხედრო სკოლამ, რომელიც ჩამოყალიბდა 1921 წლის აპრილში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დავალება მიეცა საქართველოს სხვადასხვა მაზრას შეერჩიათ პარტიის საუკეთესო წევრები, კომკავშირლები და მშრომელი ახალგაზრდობა მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლის შესავსებად.

ცენტრალური კომიტეტის დავალების მიხედვით, აპრილის დამდეგს სხვადასხვა მაზრიდან იწყო დენა ახალგაზრდობამ სკოლის შესავსებად. პირველ დღეებშივე ათი კაცი გაიგზავნა კურსანტთა აღმოსავლეთის ბრიგადის კურსებზე. 15 დღის შემდეგ ჩვენ გამოგვიცხადეს. ამორიცხული ხართ კურსანტთა აღმოსავლეთის ბრიგადის სიიდან და იგზავნებით მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლის უფროსის ამხანაგი ს. გედევანიშვილისა და კომისრის ამხ. დანელიას განკარგულებაში, ნაძალადევში (პრაპორჩიკების ყოფილი მეორე სკოლის შენობა). აქ ჩაეყარა პირველი საფუძველი წითელი არმიის ქართული ნაწილებისთვის ახალი კადრების სამჭედლოს.

აპრილის მეორე ნახევარში სკოლა თითქმის ამთავრებს თავის ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას. ჩვენ უკვე გვყავს არა ათი, არამედ 105 კაცი კურსანტი, მეთაურთა და მასწავლებელთა შემადგენლობა. ამ პერიოდში მე მახსოვს, სკოლაში მოვიდა ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც ადგილობრივ დეტალურად გაეცნო სკოლის მდგომარეობას. სკოლის კომისრის ამხ. დანელიას მოხსენების შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ თავი მოუყარა კურსანტებს და დაუწყო გამოკითხვა. მშვენივრად მახსოვს ამხ. ორჯონიკიძის ღიმილი, როდესაც იგი კურსანტებს შორის ხედავდა ყოფილ წითელ პარტიზანებს, არალეგალურ მუშაკებს, პარტიისა და კომკავშირის წევრებს, მუშებსა და მოჯამაგირეებს. შემდეგ მან შეკრიბა მეთაურები და მითითებები მისცა შემდგომი მუშაობის შესახებ: მახსოვს, ამხ. ორჯონიკიძის სიტყვები წასვლის წინ, რომლითაც მიმართა მან სკოლის კომისარს:

— ამხანაგო დანელია, თქვენ კურსანტთა მშვენიერი შემადგენლობა გყავთ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მისცეთ ქართულ ნაწილებს წითელ მეთაურთა ახალი კადრი. მატერიალურად სკოლას პირველ რიგში უზრუნველყოფთ, ხოლო კურსანტებს სრულ შტატამდე შეავსებთ წითელი არმიის ქართული ნაწილებიდანო.

იმ დღიდან სკოლის ცხოვრება ძირეულად გარდაიქმნა. რამდენიმე დღის შემდეგ, ე. ი. მაისის პირველ რიცხვებში, სკოლა ახალ შევსებას ღებულობს წითელი არმიის ქართული ნაწილებიდან. უმჯობესდება სკოლის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, იწყება კურსანტებთან გეგმიანი პროგრამული მეცადინეობა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ჰქმნის და აწყობს ამხ. სერგო ორჯონიკიძე პრაქტიკულად, ადგილობრივად, თავისი პირადი ხელმძღვანელობით წითელ მეთაურთა სამჭედლოს— მეთაურთა ქართულ სამხედრო სკოლა წითელი არმიის ქართული ნაწილებისთვის ახალი კადრების მოსამზადებლად.

ამხ. ორჯონიკიძე იყო წითელ მეთაურთა სამჭედლოს მეთაურთა ქართულ სამხედრო სკოლის — ორგანიზატორი და ხელმძღვანელ-ფუძემდებელი.

1921 წლის დამლევს და 1922 წლის დამდეგს სკოლა ფართოვდება. იგი უკვე ასეულ კურსანტს ითვლის თავის რიგებში. 1922 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით სკოლა ღებულობს კიდევ ახალ შევსებას საუკეთესო ბოლშევიკების სახით.

სკოლის უფროსად ინიშნება ამხ. **ტალახაძე**, სამხედრო კომისრად ამხ. **ბ. ძნელაძე.** სკოლა გადადის ახალ ბინაზე, რომელიც უფრო აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს.

1922 წელი წარმოადგენს ძირეული გარდატეხის წელს სკოლის ცხოვრებაში.

ინიშნება ახალი ხელმძღვანელობა, ახალი სარდლობა.

მეთაურთა და მასწავლებელთა შემადგენლობა შევსებულია საშტატო რაოდენობამდე საუკეთესო მეთაურებით, რომლებმაც გამოთქვეს წითელ არმიაში სამსახურის სურვილი და მთლიანად მისცეს თავისი ძალღონე წითელ არმიას.

ეს წელი შესანიშნავია იმით, რომ სკოლა, სკოლის უფროსის ამხ. ი. ტალახაძისა და სამხედრო კომისრის ამხ. ბ. ძნელაძის მეთაურობით, ღებულობს პირველ საბრძოლო ნათლობას ხევსურეთის ოპერაციაში ქართველ თავადაზნაურთა ბანდების წინააღმდეგ. ქართველ მემამულეთა ბანდების წინააღმდეგ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა მეფის ყოფილი ოფიცერი, თეთრბანდიტი, ყოფილი თავადი ჩოლოყაშვილი. საქართველოს მშრომელთა მჩაგვრელებისა და დამმონავებლებისა,—ქართველი მენშევიკების და მათი ლაქიების წინასწარმეტყველების წინააღმდეგ, წითელი არმიის ქართულ ნაწილებთან ერთად, მეთაურთა ქართულმა სკოლამ ბანდიტ ჩოლოყაშვილს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. მე იყავი ჩვენი კურსანტების თავგანწირული ბრძოლის მოწამე, როდესაც 10 სექტემბერს, ქართული დივიზიის სასწავლო ათასეულის ნაწილებთან ერთად, სკოლა უტევდა აკუშის მთას, რომელიც ჩოლოყაშვილის ბანდიტებს ეკავათ. კურსანტები განთიადისას იერიშზე გადავიდნენ და მიუხედავად იმისა, რომ აკუშის მთის მწვერვალიდან და ყველა ფერდობიდან ბანდიტური ტყვიის გვიშენდნენ, ათასი მეტრის სიმაღლე 30 წუთში იქნა აღებული.

საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის „აკუშის“ თავდადების ასეთი მაგალითები სკოლის კურსანტები ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებდნენ.

1922 წელი შესანიშნავია იმით, რომ ამ წელს წითელ მეთაურთა სამჭედლომ, მეთაურთა ქართულმა სამხედრო სკოლამ, მისცა წითელი არმიის ქართულ ნაწილებს ახალგაზრდა, დიდი ოქტომბრის საქმისათვის თავდადებული 108 წითელი მეთაური. 1922 წლის დეკემბერში მოხდა ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის წითელ მეთაურთა პირველი გამოშვება.

1923 წელს სკოლა უფრო გეგმიანად აწარმოებს საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებას. ღებულობს ახალ შევსებას.

სკოლა ღებულობს ახალ საბრძოლო ნათლობას, მონაწილეობს რა გურიის ოპერაციაში ბანდიტების წინააღმდეგ.

1923 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებს გამოაკლდა თავგანწირული მებრძოლი, საუკეთესო ბოლშევიკი ლენინელი, საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციების ფუძემდებელი, ხოლო სკოლის საყვარელი კომისარი, გულისხმიერი ამხანაგი და პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის თავდადებული ბოლშევიკი— ამხანაგი ბორის ძნელაძე. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ჩვენი საყვარელი კომისარი, ამხანაგი ბორისი, არ სტოვებს კურსანტების რიგებს. სურამის ბანაკიდან ჩვენ იგი ძალად გავგზავნეთ აბასთუმანს სამკურნალოდ. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ბრუნდება აბასთუმნიდან და ამბობს: „მომეწყინა აბასთუმანში, არ შემიძლია უსაქმოდ გაჩერება, მე მიყვარს ჩემი კურსანტები, მე დაკისრებული მაქვს დიდი ამოცანა მომავალი მეთაურების აღზრდის საქმისთვისო“. დიდი ხვეწნის შემდეგ ბორისი ბრუნდება აბასთუმანს და მას შემდეგ ჩვენ უკვე აღარ გვინახავს ჩვენი საყვარელი კომისარი.

ამხანაგი ბორისის შემდეგ სკოლის კომისრად ინიშნება ამხანაგი **ს. ბუაჩიძე**, რომელიც თავისი გულისხმიერი ბოლშევიკური მიდგომით რაზმავს მეთაურთა და უფროსთა მთელ შემადგენლობას მომავალი მეთაურების მომზადებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების საქმისთვის. ამ წელს ფართოდ ვითარდება გამოსაშვები მეთაურის ხარისხისთვის ბრძოლა, ყოველმხრივ მომზადებული მეთაურისთვის ბრძოლა. ამ წელს სკოლას გამოეყო კურსანტების ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.

სკოლა ხდება მრავალეროვნებიანი: სკოლაში ჩვენ ვხედავთ აგრეთვე ოსებს, აფხაზებს, სომხებს და სხვ.

1923 წლის მეორე ნახევარში (თვე არ მახსოვს) სკოლაში მოვიდნენ ამხანაგი ორჯონიკიძე და რამდენიმე სხვა ამხანაგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან.

ამხ. ორჯონიკიძის მოსვლის მიზანი იყო პირადად, ადგილობრივ გაცნობოდა ყოველმხრივ სკოლის მდგომარეობას. სკოლის სარდლობის მოხსენების შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ შემოიარა ყველა საკლასო კაბინეტი და ლაბორატორია, შემდეგ კურსანტების საცხოვრებელი ბინები (სკოლა იდგა ვაკეში, ამჟამად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა). შემდეგ დაათვალიერა სასადილო, დაესწრო სადილობას, თვითონ ისადილა კურსანტებთან. სადილის შემდეგ შეკრიბა კურსანტები, გამოუძახა ყველა ეროვნულ უმცირესობას, ოსებს, აფხაზებს და ესაუბრა მათ სხვადასხვა საკითხზე. შემდეგ სკოლის უფროსს შეაკრებინა ყველა მეთაური, პოლიტმუშაკი და მასწავლებელი, მოისმინა მეთაურთა და მასწავლებელთა მოხსენებები კურსანტების წარმატებაზე, მითითებები მისცა კურსანტების ყოფაცხოვრებასა და სწავლებაში შემჩნეულ ნაკლთა აღმოფხვრისთვის.

ეს იყო ამხანაგი სერგოს მეორედ მოსვლა სკოლაში, რათა უშუალოდ შეემოწმებინა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დიდი ლენინის მითითებათა შესრულება.

ამხ. სერგომ არათუ მხოლოდ მოაწყო მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლა, არამედ იგი, ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების შემდეგაც დაინტერესებული იყო და ხელმძღვანელობდა მის საბრძოლო სწავლებას, იგი ადგილობრივად, პირადი კონტროლით, სწორი ბოლშევიკური გზით წარმართავდა სკოლის მუშაობას ქართული ნაწილებისთვის კადრების აღზრდის საქმისთვის.

ამავე წელს ამხ. ორჯონიკიძის მითითებით მოეწყო ქართული სამხედრო-პოლიტიკური სკოლა წით. არმიის ქართული ნაწილებისთვის პოლიტიკური შემადგენლობის კადრების მოსამზადებლად. ამ სკოლამ, გარდა მოკლევადიანი გამოშვებებისა, პირველი გამოშვება მოახდინა 1925 წელს, მეორე—1927 წელს. ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლის კურსანტები ნაწილში მისვლისას ატარებდნენ ფართო ნამდვილ ბოლშევიკურ მუშაობას მებრძოლთა და მეთაურთა აღზრდის საქმეში. ქართულ ნაწილებს ნაკლებად არ ესაჭიროებოდათ პოლიტმუშაკები. ამიტომ ამ სკოლის შექმნა იყო დროული და მან სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლადამთავრებულთა შორის ჩვენ დღეს ბევრი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პოლიტმუშაკები გვყავს.

ქართული ნაწილებისთვის მეთაურთა კადრის გამოშვება 1924 წლის მოხდა.

1924 წლის ზაფხულზე ამხანაგი სერგო ჩამოვიდა ბაქოში ამიერკავკასიის სკოლების კურსანტების ცხოვრებისა და სწავლების პირობების გასაცნობად.

ასე ხელმძღვანელობდა ამხ. ორჯონიკიძე არა მარტო წითელი არმიის ქართული ნაწილებისთვის მომავალი კადრების აღზრდასა და სწავლებას, არამედ ამიერ-კავკასიის ყველა ნაციონალური ნაწილის მეთაურთა კადრების სწავლებასა და აღზრდას.

დიდი ბელადის ლენინის მითითებები წითელი არმიის ქართული ნაწილების ჩამოყალიბებისა და მათი კადრების შექმნის შესახებ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საქართველოს მთავრობამ, ამხანაგი სერგოს უშუალო ხელმძღვანელობით, ღირსეულად, სასახელოდ შეასრულეს.

ახალი სამეგრელო

1. „დემოკრატიული" ხუნტა

„ჭაობი და ჰონჭყო.

ლელი და ლაქაში.

აქა-იქ ისლით დახურული წაფერდილი ქოხები.

ეზოები მალარიით გადამწვანებული.

ქოხების წინ პერანგის ამარა, მუცელგასიებული, გამოყვითლებული ტყირპიან გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტანტალი და ჰაკუნის თამაშობა.

მზისგან გამთბარ მწვანე ლორწოიან ჭაობებში ქვეწარმავალთა ნებიერი ზმორება და აორთქლებული ხავში ციებ-ცხელებისა.

რიონის ამღვრეული მღვრიე დენა.

ჩამონგრეული ლობეები.

დამპალი წყლით სავსე თხრილები და შიგ ჩაწოლილი ულლიანი გამხდარი ღორის ოხვრა.

თხრილის პირას ანწლებში ფეხდაბორკილი, ხისსარეკელიანი თხები და მზეზე გაფიცხებული ბაყაყები".

ეს არის მწერლის მიერ სწორედ დახატული მენშევიკების დროის სამეგრელოს პეიზაჟი.

„ბაზარში ვნახე მხოლოდ გასასყიდათ შებორკილი მონები და რამდენიმე ტიტველი კაცი მშვილდ-ისრით ხელში, რომელთაც ხალხი უფრთხოდა... თურმე ისეთ ქვეყანაში მოვხვედრილვარ, სადაც არავითარი ხორაგი არ იყო გასაყიდი, ფული არ გადიოდა და სახლიც არ იშოვებოდა, რომ კაცს თავი შეეფარებინა... ხომალდი რომელზედაც ვიყავით დღითი-დღე უფრო და უფრო ივსებოდა ორივე სქესის და ყოველი ჰასაკის მონებით ისე, რომ საძრაობა აღარ იყო. ხომალდზე მიდი-მოდიოდა მრავალი აფხაზი და მეგრელი, რომლებიც ხომალდს მგზავრებით ავსებდნენ და ისეთი სიმყრალეს ავრცელებდნენ, რომ შეიძლებოდა ჭირი გაჩენილიყო".

ასე აღუწერს ფრანგი მოგზაური სამეგრელოს ერთერთ ნავთსადგურს.

სურათი მთლიანია. ერთის მხრივ საშინელი ჰავა და ნიადაგი, განმანადგურებელი სენი—მალარია და ჭლექი, მეორეს მხრივ სამეგრელოს დესპოტი მთავრები, რომლებიც სათათრეთში მონებად ყიდდენ თავიანთ თანამოსახლეებს, შებორკილებს და დათრგუნვილებს, უნამუსოდ სრესდნენ ადამიანურ ღირსებას და პატიემოყვარეობას. ერთის მხრივ სასტიკი ბუნება და მეორეს მხრივ ფეოდალები, — მშრომელი ხალხის ყოველგვარ ჟამზე და ჭირზე უფრო უგულო და შეუბრალებელი მტრები.

როგორ შეეფერება ამ პირობებს განაწამებ მეგრელი გლეხის სასოწარკვეთილი სიმღერა.

მუსხანიშა უჩა ბედი
მა თაშ გილაფთირუნქუნი
უჯულ რენო მაკეთენქი
ხეს ქამზოდინუქუნი*)

პოეტები კი მაინც უმღეროდნენ კოლხიდას, მათ ხიბლავდათ რაღაც ზღაპარი არგონავტებზე და ჭაობების, კოღოების, უქმურის ეგზოტიკა.

მრავალჯერ აუჯანყდა უსამართლობას სამეგრელოს გლეხკაცობა. ლეგენდარული სახალხო გმირის უტუ მიქავას სახელმა 1857 წელს შესძრა და ფეხზე დააყენა დადიანების სასახლე. მრავალი ათასი მშრომელი იარაღით ხელში გამოვიდა ძალმომრეობის დასამხობად. რუსეთის გენერლების დახმარებით სასახლემ ეს აჯანყება ჩააქრო.

ზუგდიდის მუზეუმში ახლაც შენახულია მეტრნახევარი სიგრძის ხანჯალი, ადამიანის სისხლში ამოსვრილი და ჩაგანგული. მჩაგვრელს და დაჩაგრულს შორის ანგარიშსწორება ამ ხანჯლით ხდებოდა. სასახლის კატაკომბებში ახლაც ყრია საშუალო საუკუნოებრივი ტიპის ბორკილები, ხარბოჭა ხეებით, რომელზედაც აკრავდნენ შერისხულს. ისინი ლპებოდნენ აქ, ხუნდებში გაბმული. მაღლა სართულზე კი დადიანების მავრიტანული სასახლე ქეიფობდა, ლაღობდა, მეძავობის და მუქთახორობის წუმპეში ეფლობოდა. ევროპული კომფორტის დეტალების თავისებური—„დაცვით" გამართული დარბაზები ნთქავდნენ პირუტყვის პირობებში ჩაყენებულ გლეხკაცობის ნაჭირნახულევს.

ბატონყმობის ქაღალდზე გაუქმებას 1866 წელს გაუარესება არ შეუტანია ხალხის სისხლის მწოველ მთავრების ცხოვრებაში. სამეგრელოს ბარაქიანი მიწა უქმურით იყო მოწამლული. უნაყოფო, არაფრისათვის გამოსადეგი თხმელა, ნარეკალი გვიმრა ფარავდა დედამიწის ზურგზე უმშვენიერეს და უნაყოფიერეს დაბლობს. ხალხის ბინძურ მტრებს ამაზე გული არ შესტკიოდათ. ადამიანები შემდგარი იყვნენ ფიზიკური მოსპობის და გადაგვარების გზაზე. მალარია ღრღნიდა სხეულს. არც ამას დაგიდევდა ვინმე. ერთი მუჭა მუქთახორების მთელი მეცადინეობა, თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში მდგომარეობა არ შეცვლილა ქვეყნის სამეურნეო აყვავების და მშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნაცვლად მათ თავი მხოლოდ იმით ისახელეს, რომ გაქურდეს დადიანების სასახლე, გაიტაცეს აქედან 32 ფუთი ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები, ხატები და მანდლები. ეს ქონება ეკუთვნოდა ხალხს, ის შეძენილი იყო სამეგრელოს მშრომელთა ნაოფლარით. არც ერთი ახალი სკოლა, არც ერთი ახალი საექიმო დაწესებულება, მენშევიკების ბატონობის პერიოდში არ გახსნილა აქ. ჭაობების ამოშრობაზე, ტექნიკური კულტურების დანერგვაზე რაიმეს თქმაც კი სიცილს გამოიწვევს.

არის კიდევ ერთი მდგომარეობა, რომლითაც მენშევიკებმა „ისახელეს" თავი; ეს გახლავთ აჯანყებული ბოლშევიკური სოფლების აწიოკება. მათ ამ საქმეში გამოიყენეს თვითმფრინავი, ჯავშნიანი მატარებელი, ქვემეხების და ტყვიამფრქვევების ცეცხლი, დაქირავებულ გვარდიელთა ლეგიონები.

მოშლილი სახელმწიფო აპარატი უძლური იყო დაეცვა საზოგადოებრივი უშიშროება. ბანდიტიზმი, ძარცვა - გლეჯა, ქურდ-ბაცაცობა, ისე ხშირი და მასობრივი გახდა, რომ სახალხო უბედურებად გადაიქცა. ყოველდღიურად ათასობით აწიოკებდნენ ხალხს საზოგადო შარებზე, უვარდებოდნენ სახლებში, ტყეებში ავაზაკების და მტაცებლების ბრბოები დათარეშობდნენ. ეს უბედურება ზედ დაემატა მშვიდობიან მშრომელ მოსახლეობის მრავალ-გზის გაჭირვებას. ძარცვა გლეჯის სულისჩამდგმელად გვევლინებოდნენ თვითონ მენშევიკური მილიციის რაზმები და გვარდიელები, მათი ხელმძღვანელები და ორგანიზატორები.

ზუგდიდის მუზეუმის არქივში შენახული დოკუმენტები ფარდას ხდიან ამ შავბნელ საქმეს. 1919 წელს ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსი **ბაძალუა** შემდეგს სწერდა ერობის გამგეობას: „მთელი ჩემდამი რწმუნებული მილიცია, მობილიზაციის გამო მოუნდა მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცთა გადაყვანას, ამიტომ ამ უკანასკნელ დროში ძარცვა - გლეჯამ მაზრაში მიიღო ფართო ხასიათი. მე იძულებული ვარ შეუდგე მხოლოდ ყაჩაღების დევნას, ხოლო რაც შეეხება სალდათების გადაყვანას, მე ამიერიდან ვიდრე არ გავწმენდ მაზრას ყაჩაღებისაგან, არ შემიძლია ვიკისრო, რაც არა ერთხელ აღმინიშნავს გამგეობის წინაშე".

სავსებით მართალია რომ ძარცვა-გლეჯამ მასობრივი ხასიათი მიიღო, მაგრამ თითონ ბაძალუასაც საუკეთესოდ მოეხსენებოდა ვინ ჩადიოდა ამას, რადგანაც მის მაგიდაზე ოფიციალური ქაღალდი იდო: „ზუგდიდის სამაზრო ერობას, საჯიჯაოს საზოგადოების კომისარი ნანეიშვილი და იმავე საზოგადოების მცხოვრები ბაქია თუნთია, როგორც ცხენის ქურდები, ჩვენ მიერ დატუსაღებული არიან. **სენაკის სამაზრო მილიცია**".

სოფელ რუხში 6 მილიციელმა გაძარცვეს დილიჟანი, რამდენიმე ათეული მგზავრებით. ამ ნიადაგზე შემდეგ საქმეში მონაწილე მილიციელმა მოჰკლა ბაძალუას მოადგილე ანდრია ხუბუტია. ზუგდიდის და სენაკის შუა საზოგადო გზაზე მდინარე ჯუმთან გვარდიელებმა გაძარცვეს 47 კაცი, ამ ნიადაგზე მოკლული იქნა გვარდიელი ყუფუნია. გზას იცავდა მილიცია, მაგრამ მილიციის რაზმის უფროსს აკაკი როდონაიას კავშირი ჰქონდა ყაჩაღებთან ევგენი დარასელიასა და შამუგიასთან. ნაძარცვს შუაზე იყოფდნენ მილიციელები და ავაზაკები. ბაძალუას მარჯვენა ხელი, მისი მოადგილე აქვსენტი ქოფეთიანი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ბანდიტებთან. თავად ვარლამ ჩიქოვანის მორიგებით და შუამავლობით წალენჯიხის კომისარი ს. გოგია ძალიან ხშირად ქეიფობდა ყაჩაღებთან და პირობას ართმევდა მათ წალენჯიხაში შიგნით არ ეწარმოებიათ ძარცვა-გლეჯა. იგრეთვე ჰპირდებოდა მფარველობას და დახმარებას სხვაგან მოტაცებულ საქონლის დამალვაში.

ასეთი სამარცხვინო მაგალითების დასახელება დაუსრულებლივ შეიძლება. თვითონ აქაური მშრომელი გლეხები ბევრს ასეთ ამბავს მოგვიყვებიან.

განუწყვეტელი ომიანობის გამო დღითი დღე იზრდებოდა გადასახადები, სამეგრელოს სოფელი დაიცალა სისხლისაგან. დაეცა და განადგურდა მეურნეობა.

წლების განმავლობაში ბოლშევიკური არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით უმკლავდებოდა უიარაღო ხალხი მენშევიზმის თარეშს. ამხანაგ **ხაშა გეგეჭკორის** სახელი თავზარსა სცემდა სამეგრელოს მშრომელთა მტრებს. აქ სამეგრელოში შეადგინა მან თავისი წითელი რაზმები. სამეგრელოს მთელ რიგ სოფლებში 1918—19 წელს გამარჯვების წითელი დროშა ფრიალებდა. მშრომელთა ნებისყოფის და რევოლუციონური ილტვოლების გატეხვა აღემატებოდა მენშევიზმის ძალღონეს. ამ ნებისყოფამ და ძალამ ნამსხვრევებად აქცია თვითონ მენშევიზმი და მისი „დემოკრატიული" სახელმწიფო ხუნტა.

---

*) ხანამდის უნდა მათრიო მე შავო ბედო ასე. მერე უნდა გამახარო როცა აღარ ვიქნები ცოცხალი?

2. [illegible] გაშალა ყლორტები

სიმინდის ჭირნახული იყო ერთ-ერთი საარსებო წყარო და გლეხური ოჯახის შემოსავალი. წლიდაწლამდე მხოლოდ სიმინდს თუ გაიტანდა მოახლოე ბაზარზე გასასყიდათ. მიღებულ ორიოდე გროშით შეუძლებელი იყო ჯალაბობის შემოსვა, ათასნაირი გადასახადების გასტუმრება და დაუდგრომელი სენის-მალარიის მკურნალობა. იყო კიდევ ერთი შემოსავალი: რამოდენიმე ჭიქა რძის, წველებით და ვაგლახით შეგროვილი „ოყა ყველის", შინაურულად მოქსოვილი წინდის და ასეთი წვრილმანების გასაღებით მიღებული მათხოვრული გროშები..

სიმინდს ეჭირა საუკეთესო მოსავლიანი ადგილები, გლეხს ვერ წარმოედგინა, თუ ამ მიწაზე გაიხარებდა სხვა უფრო სასარგებლო კულტურა, რომელსაც შეეძლო ბედნიერება მოეტანა მის ოჯახისათვის.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებამ მთლიანად შესცვალა საუკუნოებით ჩამოყალიბებული და დაკანონებული სოფლის სახე. მარადიული გვიმრით და ჯაგნარით დაბურული სერები გაიკაფა და დაიწმინდა. თვეობით უგეგმურად ბჟუტავდა ნარეკალის ნაკვერის ცეცხლი ყოველ სოფელში, ყოველ უბანში და მუხურში, მასთან იფერფლებოდა, ისპობოდა და ნაცარტუტად იქცეოდა წარსულის მახინჯი მემკვიდრეობა, სიღარიბე და უვიცობა, ჩამორჩენილობა და სოფლური ცხოვრების იდიოტიზმი. შემდეგ ამ გაკაფულ ნიადაგზე გაჩნდნენ გრძელი კვალები და ჩაის ყლორტების გრძლად გაბაწრული მწკრივები. ბევრი „წინასწარმეტყველობდა" - ჩაი სამეგრელოში ვერ იხეირებს, ფრთებს ვერ გაშლისო, ამდენი შრომაც ამაოდ ჩაივლისო, მოზარმაცო ადამიანები მღეროდნენ:

მუშო მოკო მა სქან ჩაი,
უბედურობა ოხაჯალი. *)

მეორენი თავიანთ სიცოცხლეს უკავშირებდნენ ამ „უცხო სტუმრის" ყლორტების გაშლას. ახლა ყველამ იცის, ვინ იყო მართალი!

ადამიანებს გაჰყავდათ არხები, წრეტავდნენ ჭაობებს, ხელებ დაკაწრახებულნი იბრძოდნენ მიწის ახალ ნაკვეთებისათვის. შეგნებული ჰქონდათ, რომ ეს მიწა მათი სამუდამო სარგებლობაშია, მათი შრომის ნაყოფს ვერავინ შეეხება და მიითვისებს.

ასე დაინერგა ძვირფასი კულტურები: გერანი, რამი, ტუნგო, ევკალიპტი, არახისი, ციტრუსები, ადგილობრივი მკვიდრნი ჯერ მათი სახელების სწორად გამოთქმასაც ვერ ახერხებდნენ, შემდეგ საუკეთესოდ მოვლაც ისწავლეს. დატრიალდა ხვავი კოლმეურნე გლეხის ოჯახში.

შეიცვალა პეიზაჟი. სერებზე სადაც გვიმრა, ჯაგები, თხმელა და ანწლი იყო, ჩაის ბუჩქების მარად მწვანე მწკრივები ალივლივდა ზღვის ფაფარაყრილ ზვირთებივით მოემართება ეს მწკრივები და ჯერ კიდევ ველურად დარჩენილ სანაპიროებს გადმოლახვას და წალეკვას უპირებს.

მეფის რუსეთის საქართველოში ჩაი მხოლოდ რამოდენიმე ჰექტარზე იყო გაშენებული — აჭარაში. მენშევიკების დროს ეს ნარგავებიც აოხრდა. ჩაის პლანტაციას სრულებით არ ჰქონია რაიმე სამეურნეო მნიშვნელობა. სამეგრელოში კი არც ერთი ჩაის ბუჩქი არ ყოფილა. ახლა კი მარტო ზუგდიდის რაიონში გაშენებულია 4.480 ჰექტარი პლანტაცია, რამაც რაიონს გასულ წელს მისცა ოთხი მილიონი მანეთის შემოსავალი.

ავიღოთ იგივე სოფელი რუხი. გული ხარობს, როდესაც შეჰყურებ ამ კოლმეურნეობის, საუკეთესოდ მოვლილ ლაღად გაფურჩქვნილ ჩაის ბუჩქების მწკრივს, რომელიც მთელ 305 ჰექტარზე იშლება.

— აი, აქ, ამ სერზე, თუ რამე გაიხარებდა, არავინ იცოდა, აქ მგლები და ტურები ყმუოდნენ და ჩხაოდნენ, გვიმრებში და ფშანებში ქვეწარმავლები, გველები და ხვლიკები ბინადრობდნენ. ზამთრობით კურდღლებზე სანადიროდ თუ შემოვიდოდით, ნარეკალი სანახევროდ გაგვხდიდა ტანისამოსს და კანს. შარშან კი ამ „დაწყევლილ სერზე" ჩაის ძვირფასი ფოთოლი მოიკრიფა. —მოგვითხრობდნენ კოლმეურნეები.

სოფელ რუხის მშრომელებს რომელთაც რევოლუციამდე არავითარი შემოსავალი არ ჰქონიათ—ახლა კოლმეურნეობის მარტო განუყოფელ ფონდში მილიონი მანეთი აქვთ შენახული.

ჩვენ ვიყავით **მაქსიმე შენგელაიას** ოჯახში. სამოცი წლის მოხუცებული კაცია მაქსიმე. ჰყავს ორი ქალიშვილი-ლიუბა და ზუზუ. ვაჟი არ ჰყავს.

— სხვა დრო ყოფილიყო, სიმშილით მოვკვდებოდი. მარტო მე, მოხუცი, როგორ გავუძლებოდი ოჯახს, — გვიამბობს მაქსიმე,—ახლა ჩემი ქალები სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებიან, პლანტაციაზე მიდიან სამუშაოდ, ისე არიან დახელოვნებული კრეფაში, რომ ექვსი კილოგრამის ნაცვლად 24-ს კრეფენ. შარშან უფროსმა გამოიმუშავა 453 შრომადღე, უნცროსმა — 400, ცოტა მეც წავიმუშავე, ასე რომ მარტო ფულად 7.510 მანეთი მივიღე. გამოიცვალა, ბაბა, ცხოვრება რუხში, ძალიან გამოიცვალა... ამდენი ფული ჩემ სიცოცხლეში მე არასოდეს მიმიღია!

სოფელი ორსანტია რამდენიმე კილომეტრზეა გაჭიმული. ქალაქ ზუგდიდიდან მოშორებული, ის წინად წარმოადგენდა მიყრუებულ, ღარიბ და ჩამორჩენილ სოფელს. ახლა ორსანტია სხვანაირად გამოიყურება. გუშინდელმა უმიწაწყლოებმა და ბოგანოებმა კარგა ხანია აქ შეძლებული ცხოვრება დაიწყეს. მარტო გასულ წელს 118 ახალი ოდა დაიდგა ორსანტიაში, კოლმეურნეობამ დაამთავრა საშუალო სასწავლებლის სკოლის უდიდესი ბინის მშენებლობა, კოლმეურნეობას აქვს თავისი სახერხი ქარხანა, მესაქონლეობის ფერმა, აფთიაქი, წელს განზრახულია გაშენდეს საექიმო პუნქტი, აბანო და საავადმყოფო.

— ცოტათი უკეთესი ვინმე ზუგდიდშია! — სიცილით გვითხრა კოლმეურნეობის თავჯდომარემ გ. საჯაიამ.

სიმინდის კულტურასთან ერთად ხელი მოჰკიდეს არახისს, თხილს და ციტრუსებს. წლის ბოლოს, როდესაც ბარაქიანი მიწის დოვლათი განაწილდა, თვითეულმა კოლმეურნემ შრომა-დღეზე მიიღო ფულად 14 მანეთი და 27 კაპეიკი, ნატურით 9 კილოგრამი სიმინდი და ლობიო, 2 კონა ჩალა.

თარასხან შამათავამ გამოიმუშავა 516 შრომადღე, კიტი ხასიამ 553, ხაზალია იოსების ოჯახმა — 734, ერასტი ხაზალიამ — 426. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ თითქმის სამ-სამი წლის სარჩო საბადებელი მიიღეს. ამ ადამიანების შეგნებაში ახლა ღრმად არის დანერგილი კოლექტიური შრომის უპირატესობა.

ეს ის ციფრებია, რომლებიც ბოლშევიკურ ენაზე მეტყველებენ და მოსვენებას და ძილს უკარგავენ ჩვენს კლასობრივ მტრებს.

სწორედ ასევე ცხაკაიას რაიონში. ჩაის კულტურამ მთლიანად შესცვალა მეგრული წკნელით ნაშენებ და ხალოს სოფლის სახე. უშაფათის კოლმეურნეებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ჩაის კულტურის განვითარებას და გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 16 კილოგრამი ჭირნახული გაანაწილეს შრომა დღეზე, ამხ. მუშიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გაანაწილეს 12 კილოგრამი. უდიდესი წარმატებებია მიღწეული მესაქონლეობის განვითარების დარგში. სავსებით შეიცვალა თვითონ ქალაქ ცხაკაიას სახე. გაიზარდა მცხოვრებთა რაოდენობა, ქუჩები მოიკირწყლა, გაშენდა მშვენიერი ბაღი, გაშენდა ახალი დიდი სახლები. ქ. ცხაკაია გადაიქცა რკინიგზის საკვანძო ქალაქად.

ნარაზენ ულრან ტყეებში, სადაც ერთ დროს, გერმანელი მწარმოებელი სიმინდს და პანტას ხარშავდა და არაყს ხდიდა, დიდ-ჭყონში ახლა კიდით კიდემდე გადაშლილია გიგანტი საბჭოთა მეურნეობა, ასევე ჯოლევჯიანის უკაცურ ველებზე იფურჩქება ჩაის სათუთი ყლორტები. სოფ. ხორშში ჰყვავის გერანის უძვირფასესი თესლი. თვალს ახელენ, კვერტებს ხსნიან ნარინჯის მრავალათასიანი სანერგეები, რომ მტკიცედ დარაზმულ ლეგიონებად შეუტიონ უქმურს და ხაშმს, ლენჯს და გვიმრას, ლაქაშს და თხმელას.

კოლხეთი აღსდგა, სოციალისტური გზით წავიდა. შეიცვალა არა მარტო ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონების სახე, შეიცვალა და იცვლება ძველად სრულიად მიყრუებულ, „დათვის ბუნაგად" წოდებული კუთხეების—წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის - გეოგრაფია, მათი ფლორა და ფაუნა. გზა შეიჭრა ამ რაიონებში. ადამიანებმა აქაც იგრძნეს ბოლშევიკური განახლების ძალა, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ. ეს ადგილებიც ისე იქსოვება ჩაით და ციტრუსებით, როგორც მთელი კოლხეთი, მთელი საქართველო.

ჩვენი ქვეყნის გიგანტური სამრეწველო განვითარება იგრძნო აქაც სამეგრელოს პატარა ტერიტორიამ. ზუგდიდში შენდება საკავშირო მნიშვნელობის ქაღალდის დამამზადებელი ქარხანა — კომბინატი, ეს კომბინატი ამუშავდება მიმდინარე წლის აგვისტოში. გიგანტი დაჯდა 33 მილიონი მანეთი. ჩვენ არ შევუდგებით მრავალრიცხოვან ჩაის ქარხნის და ასეთ მნიშვნელოვან საწარმოების ჩამოთვლას, რომელთა ერთი ნაწილი აბაშის ჰიდროელექტროსადგურის - საქართველოს ელექტროფიკაციის ერთ-ერთი პიონერის - თეთრი ენერგიით იკვებება.

ახლა ყოველი მშრომელი კითხვას ასე სვამს:

— ჩვენ ხუთმეტ წელში მივაღწიეთ იმაზე მეტს, რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ გაკეთდა, რა იქნება მომავალი 15 წლის შემდეგ?

რაც იქნება, ამას გრძნობს ყველა. მშრომელთა გულში ხმაურობს უმშვენიერესი მომავლის საზეიმო ზარი.

---

*) რაღად მინდა შენი ჩაი, გახათობნად ძნელია.

3. უმეცრების ნანგრევები

ძველად ასე იყო: პირტიტველა მეგრელი ბიჭი ორსამჯერ თუ მოასწრებდა პარტის გამოცვლას, ძნელად თუ მიაღწევდა ათწლიადამდე და მშობლები იძულებული იყვნენ სკოლიდან გაეყვანათ.

ბევრი სათუთი გული აუჩქებულა და თვალს მრავალი კურცხალი დაუცდენია, როცა დუხჭირ ცხოვრების აუცილებლობით ნაიძულები ყმაწვილი სტოვებდა სკოლის კარებს.

ან თვით ეს რა სკოლა იყო. ლაპ არსაბ თათქარიძის ჭიშკარივით მხარზე წამოწოლილი, სახურავ ჩანგრეული, კარფანჯრებ ჩამტვრეული ოთხკედელა, რომელიც მთელ მაშინდელ სამეგრელოში ერთ-ორ სოფელში თუ შეგხვდებოდათ.

შემდეგ არითმეტიკული მოქმედება სკოლის კედლებიდან ჯოგში, საძოვრებში და სიმინდის ყანაში გადადიოდა.

ახალგაზრდობის სანუკვარ ოცნებას კი შეადგენდა სკოლა, განათლება და სწავლა.

მაგრამ ამაოდ.

მათთვის არ იყო სკოლა და სწავლა. უმნიშვნელო უმცირესობა თუ შემთხვევით მოხვდებოდა სადმე სკოლაში, თორემ აბსოლუტური უმრავლესობა სიჭაბუკის დღეებს ისე ლევდა, დაფას და ცარცს ვერ შეხედავდა.

სამეგრელოდ მწყემსის ლარჭინზე (სალამური) და კინწოხიას თამაშში ჰკლავდენ გოგობიჭები სწავლამოწყურებულ გულის დარდს, ხან კიდევ მწყერჩიტას ბადეს უგებდენ. ჭვების ჭიშ წყალში თევზებს იჭერდნენ, ყანაში სადილს ჩაიტანდენ და საერთოდ მშობლებს მძიმე შრომაში ეხმარებოდნენ.

და იყო ხალხი სიბნელის და უვიცობის წყვდიადში, საჩივრის დამწერს სანთლით ეძებდნენ და გაზეთის სახელს გაკვირვებით იმეორებდნენ.

დაცინვით იგონებს მეფის ჩინოვნიკი ბორონზინი მეგრელი გლეხის გაჭირვებას საჩივრის დაწერისას ჯერ იყო და დამწერს ვერ იშოვნიდა, მერე და აზრს ძლივს გადასცემდა, შემდეგ დაწერილის სიმართლეზე ეჭვობდა და რაც მთავარია წერის ქირაში ტყავს იძრობდა.

რა გააკეთეს მენშევიკებმა?

ხალხის ერთსულოვან მისწრაფებას სწავლისაკენ სკოლების დანგრევით და სასკოლო შენობაში გვარდიელების შესახლებით უპასუხეს, დიდ სახელმწიფო ორომტრიალსა და წევა-გლეჯაში გართულებმა სკოლაც მიივიწყეს, მოსწავლეც და მასწავლებელიც, თუმცა ეს უკანასკნელი ბევრჯერ გახსენებიათ, უმთავრესად როცა გვარდია უნდოდათ შეევსოთ. ხოლო გაჭირვებამ როცა ძალიან შეაწუხათ პირ-ზე რძე-შეუშრობელი ყმაწვილებიც კი გამორეკეს აქა-იქ კიდევ შერჩენილ სკოლებიდან და ბათომსა და შამხორისაკენ, ბორჩალოსა და ქობულეთისკენ „სამშობლოს დასაცავად" გარეკეს.

ასეთი იყო სწავლა-განათლების მენშევიკური „სისტემა" ყველგან და სამეგრელოშიაც.

შედარებაც კი არ ღირს იმ დროსთან საბჭოთა პერიოდის მიღწევებისა. აბა რა შესადარებელია ის რაღაც 48 მასწავლებელი, რომელიც მენშევიკების დროს იყო ზუგდიდის მაზრაში, იმ 500 აღმზრდელთან, ახლა რომ დარაზმულან იმავე რაიონის ახალთაობის გამოსაჭედად. აქ შედარება საჭიროც არაა, რადგან ზრდის ჭეშმარიტად ასტრონომიულ ციფრებთან გვაქვს საქმე.

რა შეიძლება ითქვას 21 თითქოს და სკოლაზე, რომელიც იმავე მაზრაში მენშევიკებს ჰქონდათ, იმ საუკეთესოდ მოწყობილ 113 სასწავლებელთან, რომელიც ახლა ზუგდიდის რაიონშია, ან იმ ხუთ ტექნიკუმთან. ან ცხაკაიას რაიონის 96 სკოლასა და ოთხ ტექნიკუმთან, რომელშიც იზრდებიან ამ რაიონების რჩეული ვაჟები და გოგონები, მომავალი პედაგოგები, ექიმები, აგრონომები და მუსიკოსები.

რა მუსიკისთვის სცხელოდათ მენშევიკებს, რომ მუსიკალური და სხვა ტექნიკუმები მოეწყოთ! ერთადერთი მუსიკა, რომლითაც სტკბებოდნენ ეს არამზადები, ქვემეხების გრიალი და სოფლებზე წაკიდებული ცეცხლის ტკრციალი იყო. ყუმბარების აკომპანიმენტით და ტყვიის წივილით იტკბობდნენ ყურს, ხოლო ცად ავარდნილი ალი პირუტყვის კმაყოფილებას ჰგვრიდათ ვალიკო ჯუღელისთანა გარეწრებს.

მოდით და ასეთ ხალხს მუსიკასა და სამედიცინო განათლებაზე ელაპარაკეთ!

რა უცნაურად შეიცვალა ახალი თაობა, ყმაწვილკაცობა. სკოლა სამეგრელოს ყოველი სოფლის განუყოფელი ნაწილი გახდა. სრულ საშუალო სკოლებს, ტექნიკუმებსაც კი აშენებენ სოფლებში. აი, სოფელ ორსანტიაში ახლახან თითქმის დაამთავრეს ათწლედის შენობის აგება. არც ერთი საუკეთესო ათწლედის შენობას არ ჩამორჩება ეს ნაგებობა. 21 მშვენიერი საკლასო ოთახი, კაბინეტები, კლუბი — აი რა იქნება ამ შენობაში სულ ახლო ხანში. მაგრამ მშენებლობის დამთავრებას ვინ უცდის: უკვე მოასწრეს მოწაფეთა გადაყვანაც და ორი სარაიონთაშორისო კურსებიც იმავე შენობაში გახსნეს.

სკოლიდან მიდიან ან გაკვეთილზე ეშურებიან ეს სახეცქრიალა, სუფთად ჩაცმული ბიჭუნები და გოგონები წიგნებით ხელში. არც ერთი ბავშვი არაა სკოლის გარეთ დარჩენილი. ისინი საკოლმეურნეო შრომაშიაც აქტიურნი არიან. 60-80 და მეტი შრომა-დღე ბევრ მათგანს აქვს გამომუშავებული ისე, რომ სწავლაში „ფრიადსა" და „კარგზე" ქვეით არ ჩამოსულან.

მხიარული, ბედნიერი, ჯანსაღია ეს ახალგაზრდობა. და არა მარტო ახალგაზრდობა, რომელიც საბჭოთა პირობებში აღზრდილა. მოხუცებსაც კი ფერი ეცვალათ, სახეზე სიყვითლე გაჰქრა. ციება,—კოლხიდის ძველისძველი სტუმარი და ხალხის მტერი, უკვე იკრავს გუდანაბადს.

ხალხმა იგრძნო ხელისუფლების გულისხმიერი ზრუნვა მის ჯანმრთელობაზე, იგრძნო იმ უამრავი ექიმებისა და ჯანმრთელობის კერების მუშაობის დიადი დადებითი შედეგები, რომელმაც მალე გამოიღო ნაყოფი.

ექიმს, საავადმყოფოს, იშვიათად შეხვდებოდით ძველ კოლხეთში, სამეგრელოს დაბებსა და სოფლებში. თუ ვინმეს გაუჭირდებოდა და შესძლებდა—ქუთაის მიაშურებდა, თუ არა და-ექიმბაშების ხელში ამოხდებოდა სული. მთელ სენაკის მაზრაში ერთადერთი ექიმი იყო და 46 ათას მცხოვრებს „ემსახურებოდა" მეფის დროს. საავადმყოფო ხალხის სანუკვარ ოცნებას შეადგენდა.

მენშევიკებმა ხოცვაჟლეტას უმატეს, მაგრამ ექიმებსა და ექიმობაზე ყურიც არ გაუბერტყიათ. არც ერთი კარგად მოწყობილი საექიმო დაწესებულება და პუნქტი არ ყოფილა მაშინ სოფლად, სენაკის მაზრაში. ხოლო ახლა მარტო ცხაკაიას რაიონშია ოთხი საავადმყოფო, ერთი ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი, მრავალი საექიმო პუნქტი და 27 ექიმი. ახლა ერთი ექიმი ემსახურება 1700 ადამიანს.

თუ მენშევიკებმა ჯანმრთელობის დაცვაზე 20 ათასი მანეთი (ისიც როგორი მანეთი) ძლივს გაიმეტეს, საბჭოთა ხელისუფლებამ მარტო შარშან ამ დარგს მილიონამდე მანეთი დაახარჯა.

კიდევ უფრო - რელიეფურია დაპირისპირება ზუგდიდის მაგალითზე სადაც მენშევიკების დღეებში არც ერთი საავადმყოფო არ იყო და მხოლოდ ერთი აფთიაქის მაგვარი რაღაც გააჩნდათ, და სადაც დღეს ექვსი საავადმყოფოა, თორმეტი საექიმო პუნქტი, სამ ათეულზე მეტი ექიმი და სხვა მრავალი სამედიცინო დაწესებულებაა.

განსაკუთრებით მალარიას შეუტიეს კოლხიდელებმა. რამდენიმე სამალარიო და პროფილაქტიური პუნქტი ებრძვის ამ საშვილიშვილო სენს და ანადგურებს კოლხეთის მოსახლეობისათვის ამ საშინელ კოღოებს, სპობს მათ წარმოშობის პირობებს.

სამეგრელოს არ ჰქონდა კურორტი. ვის შეეძლო ან ვის ახსოვდა კურორტზე დასასვენებლად და ენერგიის მოსაკრეფად წასვლა, როცა გლეხი ყანას და ბალახბულახს ბარავდა, ხოლო ჭიშკარიდან ყოველდღე გადასახადზე და ბეგარაზე ჩასძახებდნენ ხოლმე.

საბჭოთა დღეებში მოხდა ჩვეულებრივი სასწაული: თურმე აქაც არის ძვირფასი საკურორტო ადგილები, სამკურნალო წყლები, თვისებით მსოფლიო მნიშვნელობისას რომ არ ჩამოუვარდებიან. ყველაფერი ეს აღმოაჩინეს ბოლშევიკებმა. ლებარდეს - სამეგრელოს ამ შესანიშნავ კურორტს მხოლოდ ახლა ეძლევა შესაფერი სახე. მენჯი—საქართველოს მაცესტა - მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის მიხედვით ეწყობა და ჩქარა საკავშირო კურორტი იქნება. ანაკლია ზღვის კურორტების წყებაში შედის.

ყველაფერმა ამან მალე მოიტანა ნაყოფი

და ახლა, როცა მიდიხართ სამეგრელოს სოფლების შარაგზებზე და შედიხართ ეზოებსა და სახლებში, იშვიათად თუ სადმე წააწყდებით უფერულ, ციებით ჩაყვითლებულ, უქმურისფერ სახეებს, ჩაცვენილ, მიბნედილ თვალებს, წარსულის კოშმარს, რომ მოგვაგონებს.

ხალხი აღსდგა, ხალხი ჭაობიდან ამოვიდა. ჭაობიც ჰქრება და ადამიანებმა ადამიანური ელფერი მიიღეს. მთელის სილამაზით და სიხარულით ცხოვრობენ.

4. კეთროვანი მიწა

კოლხეთის უზარმაზარი დაბლობის მოზრდილი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო, - ფოთის, ნაწილობრივ ხობის და ცხაკაიას რაიონი, დროთა განმავლობაში მთლიანად წყალმა დაჰფარა. აქ ტყეში დადიოდნენ ნავებით, ჭაობის თევზებზე და ფრინველებზე სანადიროდ. 250 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი დაემსგავსა გავერანებულ უდაბნოს.

მსოფლიო ლიტერატურის და ისტორიის საყვარელი თემა - კოლხიდა დიდი ხანია გადაიქცა უქმურის, ხაშმის, მალარიის, სიკვდილის სინონიმად. ვინ იფიქრებს, თუ ოდესმე აქ ზღვის და რიონის ნაპირებზე სახლობდა ადამიანი, ისმოდა სიცოცხლის ფეთქვა, ბულბული სტვენდა მჩქეფარე სიცოცხლის სადიდებელს. წყალმცენარეები და თხმელა, თხმელა და წყალმცენარეები, გველი, ლაქაში, კოღო და ბაყაყი, მალარიის ლორწოთი მოწამლული და გაძღენთილი ჰაერი, განა ეს პირობაა სიცოცხლის გაფურჩქვნისათვის?

დაეცა და ამ წუმპეში კეთროვანივით დალპა სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალი. ჩაყანჩრებულ და ჩამპალ შავ ტბორებში აკრიალდნენ ჭაობის გველ-ბაყაყები.

მშრომელთა ნებისყოფამ, ბოლშევიკების მეთაურობით, მოისურვა კოლხიდის ამოშრობა და ციტრუსების ბაღნარად მისი გადაქცევა. ეს არის უდიდესი ისტორიული საქმე საქართველოს ცხოვრებაში. გაიშალა გიგანტური სამუშაო, რომელმაც მოიცვა ასეული კილომეტრი ფართობი. თამამი, ვაჟკაცური გეგმა ანთებს შრომის ულევ პათოსს. რიონმა უნდა იცვალოს თავისი კალაპოტი და მარადიული მდინარება, ახალი გზით, ნაბადის განიერ და მდორე ნაპირების გაყოლებით იდუდუნებენ „ამიერიდან მისი მღვრიე ტალღები. უზარმაზარ თავლგაუწვდენ, ვეება არხებით დაისერა ძველი კოლხიდის, ქვეწარმავალებით დანერწყვილი და დაწყლულებული გულმკერდი. სადგურ ჭალადიდიდან ახლად აღმოცენებული სოფლის — ყორათის მიმართულებით გაჭიმულია შესანიშნავი მოკირწყლული შარაგზა, აქ არამც თუ ავტოს და ურემს, ნადირსაც არ შეეძლო გასვლა. ყორათში აღმოცენდა ახალი კოლხეთის ახალი მოსახლეობა. პირველად გათბა ფუტი და კვამლის მაღალი სვეტები ცას მიებჯინა. ეს ისტორიული აქტი არა მარტო ამ ახალი სოფლის ახალი მოსახლის, მთელი საქართველოს მშრომელთა სიხარული და ზეიმი იყო.

საუკუნო ძილის შემდეგ იმშვენება მშვენიერი კოლხიდა, ახალი სოციალისტური სიცოცხლის პირმშო. ეს ბარაქიანი მიწა დაუღალავ სითბოს აგზნის ნორჩ სოციალისტური რესპუბლიკის მოზარდ ორგანიზმში. ის დააზვავებს ოქროსფერ ბარაქას მშრომელთა სუფრაზე.

ვის არ შთააგონებს და არ აღაფრთოვანებს საბჭოთა სამეგრელოს ახალი სიცოცხლე! გულმართალია პოეტი, როდესაც სწერს:

დაუყრდნობიან გლეხები თოხებს...
ნიავს, შარიშურს ქმნის ხარობა
და სამეგრელოს „ფაცხებს" და „ქოხებს"
ხატავს ალვების კენწეროები.

მდორე ტბორებიც უკვე შრებიან
აგუგუნებენ ქვრი-ქვრი ბაყაყებს,
ტბორულებში ლაქაშებია
და ცრემლის ცვარი კურნავს ბალახებს...

როგორც ქალები ატყორცნილები
ალვებიც ზღვისკენ ეშურებიან
ცა და ტყე თითქოს ჩვენგან დევნილნი
შეერთდებიან ქარით, ტალღებით.
ჩამოსხდებიან ზღვის ლოდ კალთებზე
იქვითინებენ, როგორც ბალღები.

ვ. მგალობლიშვილი
მოსე გვასალია

□ □ □

თეთრი ღამე სამეგრელოში

გრიგოლ აროსია

ვარსკვლავები ცაზე ჩანან
თით კალმახის ქვირითი.
ქარიშხალის ისმის ნანა
არის ქარის ჟღერითი.

○

ახნის მთისკენ მიილტვიან
თეთრი ღრუბლების ქულები.
ავარაყებს მთარეს ტანს
ელექტრონის სხივები.

ხმა არ ისმის წარსულისა
მეხმა დაიგრიალა,
ცაზე მთვარე გაგულისდა
თვალი დაახრიალა.

○

მუქურისის შემოტევით
დარჩა დამწუხრებული,
და კანკალებს მთვარის ზევით
ვარსკვლავების კრებული.

○

ღამით ქარი აფარფატებს
მჭრალ ფოთლების ზარათებს
მინდვრებს, ნამლვილ ანდამატებს
ელექტრონი ანათებს.

○

მთხვევია სოფლებს, გორებს
სიმწვანე და ხალისი.
თვითეული პროჟექტორებს
ცხარეტყულად ანცრის.

○

და მზიარებს ჩემი მხარის
ახე გახსოვსნება,
და ჩიტუნებს მზიან ღარის
ფრთაშესხმული ოცნება.

○

მთვარე გორაკს გადმოჰხედა
არის მთვარის ზანაში
კრიალებით თამაშობენ
მძლე ტალღები აბაშის.

○

ამ ტალღების ვნახე ჩქარი
რიონ წყალმა დაფარა
გზატკეცილზე გაიქროლა
ღამით ახალ მანქანამ.

○

არ მიგრძვნია დაღამება
ისე თეთრად დაღამდა.
ჩემი ქვეყნის ყვავილნამ
თითქოს ვეფხვად გამხადა.

○

და კრიალა, მოხარკული
თითქოს ტრფობით გვანთებდა.
ელექტრონით მოქარგული
ღამე თეთრად გათენდა.

○

ლაჟვარდებში მიიმალნენ
ის მნათობნი უეცრად.
ჯანთიადმა მთის მწვერვალებს
შუბლი გადაუცვერცხლა.

○

სიხარულით მოჭრილი
გული გრძნობით ამღერდა.
ახკაცუნდა ოქროს დილა
ტანშემოტრიალ ნარყებთან.

პრემიერ საროს განცხადება

ლეონ ბლუმზე თავდასხმის შესახებ

პარიზი, 21 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„გამოვიდა რა დეპუტატთა პალატაში, პრემიერმა სარომ გამოთქვა აღშფოთება ბლუმის ძირაზე თავდასხმის აქტის წინააღმდეგ. სარომ აღნიშნა, რომ თავდასხმა—ფაშისტური ლიგის „აქსიონ ფრანსეზის" ხანგრძლივი კამპანიის შედეგი იყო. ამ პირობებში საროს სიტყვით, აუცილებელი იყო ნება დაგვერთო, რათა გაემართათ სახალხო ფრონტის დემონსტრაცია, რათა თავიდან აგვეცილებინა მძიმე ინციდენტები". სარომ აღნიშნა, დემონსტრაცია, რომელიც სავსებით მშვიდად მიმდინარეობდა, მე მიმაჩნია რესპუბლიკური ძალების გამოვლინებად.

პალატის სხდომის დროს რამდენიმე მემარჯვენე დეპუტატი თავის სიტყვაში მიკერძოებას აბრალებდა საროს.

პალატამ მთავრობას ნდობა გამოუცხადა 381 ხმით 151 წინააღმდეგ (ტას).

„ხელშეკრულების მოწინააღმდეგენიც კი შედრკნენ"

პარიზი, 21 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში ერიოს მიერ გუშინ წარმოთქმულმა სიტყვამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ მემარჯვენე წრეებზედაც კი უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი პრესა აღნიშნავს, რომ დამაჯერებელი იყო მის მიერ მოყვანილი საბუთები, რომლებმაც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს პალატაში.

დამახასიათებელია, რომ მემარჯვენე „ფიგარო" სწერს:

„გუშინ ერიომ განსაკუთრებული ძალით განავითარა ის არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც საჭიროა მოხდეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია".

„ერ ნუველის" სიტყვით, ერიოს გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, უწინარეს ყოვლისა, შეეფერება საფრანგეთის ინტერესებს. გაზეთი სწერს:

„ხელშეკრულების მოწინააღმდეგენიც კი შედრკნენ, შეიძლება ითქვას, კიდეც დამარცხდნენ. მათმა საბუთებმა, ერიოს სიტყვის გამო, მიიღეს მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ინტერესებისათვის საჭირო უბადრუკ საბუთთა სახე (ტას).

მოლაპარაკება კოლექტიური უშიშროების წინააღმდეგ

გერინგი ეთათბირება ბეკთან

ბერლინი, 20 თებერვალი. („პრავდის" ბერლინელი კორესპონდენტისაგან). გერინგი კვლავ ვარშავაშია. პოლონეთში მისი ჩასვლის, როგორც ამბობენ, მესამე მოგზაურობის საბაბია მონაწილეობის მიღება „სახელმწიფო ნადირობაში", რომელსაც პოლონეთის პრეზიდენტი ყოველ წელიწადს მართავს მთავრობის წევრებისა, უცხოეთის დიპლომატებისა და საპატიო სტუმრებისათვის.

გერინგის დარბაზობას პოლონეთში მუდამ თან სდევს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოლაპარაკება. ერთი წლის წინათ გერინგმა მოამზადა პოლონეთის მთავრობა გერმანიაში სამხედრო ბეგარის შემოღებისათვის. ამას გარდა, მაშინ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და შემუშავებული იქნა გერმანია-პოლონეთის საერთო ხაზი აღმოსავლეთის პაქტის საკითხზე და კოლექტიური უშიშროების სისტემის შესახებ, რომელსაც ლონდონის 3 თებერვლის მემორანდუმი ითვალისწინებს.

პოლონეთ-გერმანიის თანამშრომლობის გაფართოებამ მაშინ თავისი გამოხატულება ჰპოვა სამხედრო დელეგაციების გაცვლა-გამოცვლაში. დიდ ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც გერინგი პოლონეთიდან დაბრუნდა, და ვარშავაში ჩავიდა გერმანიის დიდი სამხედრო დელეგაცია იარაღის ყველა გვარეობის სპეციალისტთა შემადგენლობით. იმავდროულად ბერლინში ჩამოვიდა პოლონეთის სამხედრო დელეგაცია, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში ეცნობოდა გერმანიის არმიის რეორგანიზაციის გეგმას.

გერინგის ახლანდელი დარბაზობა პოლონეთში ხდება სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთის პალატაში იხილავენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს. ბერლინსა და ვარშავაში კვლავ მომწიფდა მოთხოვნილება მოახდინონ „აზრთა გაცვლა-გამოცვლა". მით უმეტეს, რომ ბეკს განზრახვა აქვს გაემგზავროს პარიზს, ბრიუსელს, ლონდონს, ბუდაპეშტსა და ბელგრადს.

ვარშავაში ჩასვლისთანავე გერინგს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკთან. საუბარი გაგრძელდება ბელოვეჟის ტყეში ნადირობის დროს, სადაც გერინგი გუშინ გაემგზავრა ვარშავიდან.

ქ. გოფმანი.

გერმანია გამალებით ემზადება ომისათვის

მოსკოვი, 20 თებერვალი. გერმანია სწრაფი ტემპებით ემზადება ომისათვის, რასაც მოწმობს ის სიჩქარე, რომლითაც ბრანდენბურგში დამთავრდა „ოპელის" ფირმის სატვირთო მანქანათა დამამზადებელი ახალი ქარხნის მშენებლობა.

როგორც გერმანიის პრესა იუწყება, ქარხნის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება ფირმამ მთავრობის ორგანოებთან სრული შეთანხმებით მიიღო. მშენებლობის პროექტი, რომელიც „ოპელის" რუსელსჰეიმის ქარხნის არქიტექტორებმა და ინჟინრებმა შეიმუშავეს, მზად იყო 1935 წლის 1 აპრილისათვის, ხოლო ამავე წლის 7 აპრილს მშენებლობა უკვე დაიწყო. პირველ 14 დღეს დამთავრდა სამუშაოების დაგეგმვა, ხოლო 70 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის 1 ივლისისათვის დამონტაჟებულ იქნა შენობის ფოლადის კარკასი. 1935 წლის 16 ოქტომბრისათვის მშენებლობა მზად იყო ექსპლოატაციის მისაღებად, ხოლო ერთი თვის შემდეგ ბრანდენბურგის ქარხანამ გამოუშვა პირველი სატვირთო მანქანა. ეს ქარხანა 8 საათიან ცვლაში დაამზადებს 50 სატვირთო მანქანას.

წარმოების მთელი პროცესი ხორციელდება ერთ კორპუსში, რომლის სიგრძე უდრის 178 მეტრს, ხოლო სიგანე—136 მეტრს. სამანქანო პარკი 1.200 დაზგისაგან შესდგება. შიგნითა შინაგანი ტრანსპორტი ხორციელდება კონვეიერებით, რომელთა საერთო მანძილი 5 კილომეტრს უდრის. ძრავები დადგმულია 15 წამში (ტას).

ამნისტია ესპანეთის პოლიტპატიმართ!

პარიზი, 21 თებერვალი. როგორც „პარი სუარის" მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, პოლიტპატიმართა განთავისუფლებისათვის მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით მთავრობამ გადაწყვიტა გამოაცხადოს ხელახლა ამნისტია, სანამ პარლამენტი იქნებოდეს მოწვეული. უკანასკნელ დღეებში მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის მადრიდში, გაიმართა დემონსტრაციები პოლიტპატიმართა განსათავისუფლებლად. ბარსელონაში გამართულ დემონსტრაციაში 30 ათასი კაცი მონაწილეობდა. ლა-კორუნიაში დემონსტრაციის მონაწილე 20 ათასი კაცი მივიდა ციხესთან და მოითხოვა პოლიტპატიმართა განთავისუფლება. ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილეს და განთავისუფლებული პატიმრები დემონსტრანტებმა მხარზე შესმული ატარეს მთელ ქალაქში. ასეთივე სცენები მოხდა ოვიედოში, სადაც დემონსტრანტების მოთხოვნით 895 პატიმარი გაანთავისუფლეს.

„პარი სუარის" ცნობით, სახალხო ფრონტმა პარლამენტში 260 ადგილი მიიღო. გაზეთების ცნობით, ცენტრმა გაიყვანა 50 დეპუტატი და მემარჯვენეთა ბლოკმა 150 (ტას).

მუსოლინის საუბარი პოლონეთის ელჩთან რომში

ლონდონი, 20 თებერვალი. როგორც რეიტერის სააგენტოს რომიდან ატყობინებენ, პოლონეთის ელჩი გაემგზავრა პოლონეთს, რათა მოახსენოს მთავრობას მუსოლინთან თავისი საუბრის შინაარსი. სააგენტოს ცნობით, ეს საუბარი, როგორც ფიქრობენ, ეხებოდა იტალიის და პოლონეთის პოზიციას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მიმართ (ტას).

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მუშაკთა დაჯილდოვება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის არსებობის 15 წლისთავის გამო და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში მისი წარმატებითი მუშაობისათვის სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით საკავშირო ორდენებით დაჯილდოვებული არიან სახ. მეურნეობის დაგეგმვის შემდეგი მუშაკები:

ლენინის ორდენით — სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. ი. **მეჟლაუკი**, მისი მოადგილე გ. ი. **სმირნოვი**, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი ი. ა. **კრაველი** და საგეგმო კომისიის პირველი შემადგენლობის წევრი გ. ი. **გრაფტიო**.

შრომის წითელი დროშის ორდენით — საგეგმო კომისიის პირველი შემადგენლობის წევრები გ. მ. **კრჟიჟანოვსკი**, ი. გ. **ალექსანდროვი** და სხვანი, სულ 16 ამხანაგი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით — სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. ი. **კვირინგი** და სხვა ამხანაგები, სულ 11 კაცი.

დაიხურა საქართველოს არქიტექტორების პირველი ყრილობა

22 თებერვალს დამთავრა მუშაობა საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების პირველმა ყრილობამ. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 87 დელეგატი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე არქიტექტორებისაგან.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუციები ყრილობის სექციებზე და პლენარულ სხდომებზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

შემდეგ ყრილობამ აირჩია საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოში არჩეული არიან—პროფ. გ. ჩუბინაშვილი, პროფ. ნ. სევეროვი, მიხ. შავიშვილი, პროფ. კალგინი, ა. ტერ-მიქელოვი, მ. ნეპრინცევი, პროფ. ი. ყირქესალი, ა. დუდუჩავა, თ. ფოცხიშვილი, არმ. გორდეზიანი, ქიქავა (აჭარა), მამინოშვილი (აფხაზეთი), შ. თავაძე, არჩილ ქურდიანი, გ. ცაგარელი, დ. ივანიშვილი, და ეკატერინე ვაშაკიძე. კანდიდატებად არჩეული არიან—რ. აგაბაბიანი, გ. ხიმშიაშვილი, ს. ინწკირველი და ვალიდა ჩანტლაძე.

კავშირის სარევიზიო კომისიაში აირჩიეს — მ. კალაშნიკოვი, მ. გოლუა, მ. ჩხიკვაძე, ს. ზალდაშვილი და ვიქ. ქორქაშვილი.

არქიტექტორთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად აირჩიეს 18 დელეგატი.

გაიხსნა სომხური კულტურის სახლი

გუშინ საღამოს ზეიმით გაიხსნა სომხური კულტურის სახლი.—ტფილისში მცხოვრებ მშრომელ სომხებთა კულტურული მომსახურეობის ეს შესანიშნავი კერა. ახლად შეკეთებულ, ლამაზად მორთულ ამ სახლში თავი მოიყარეს ტფილისში მცხოვრებმა სომხებმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მსახიობებმა, ხელოვნების სხვა დამსახურებულმა მოღვაწეებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ.

კულტურის სახლის გახსნას დაესწრნენ სომხეთის და ა.-კ. ცაკის [illegible] ამხ. მარტიკიანი და ამხ. რახმანი (ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტი).

სომხური კულტურის სახლი ტფილისში

ფოტო რ. აკოფოვის.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. გორდელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სომხური კულტურის სახლის გახსნა ტფილისში ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს. აღნიშნა რა ამ კულტურულ კერის გახსნის უდიდესი მნიშვნელობა, რაც მოხდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაციონალური ბელადის ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით და უშუალო დახმარებით; ამხ. გორდელაძე შეჩერდა კულტურის სახლის ამოცანებზე, უსურვა მას წარმატებები მომავალ მუშაობაში.

საღამოზე მისალმებებით გამოვიდნენ ამხანაგები: **სოლოლაშვილი** (ხელოვნების მუშაკთა კავშირი), **ბარხუდაროვი** (ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭო), **ი. იმედაშვილი** (საბჭოთა მწერლების კავშირი), პროფ. **მელიქსეთ-ბეგი** (სახ. უნივერსიტეტი), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ტიგრანიანი** (კომპოზიტორთა კავშ. სომხური სექცია), **[illegible]** (მხატვ. კავშ.), **ნორაირი** (გაზ. „პროლეტარი"), **არიანი** (მწერალთა კავშ. სომხური სექცია), **აღარიანი** (სომხური დრამა) და **აზატ მანუკიანი** (სომხეთის განსახკომი).

შემდეგ გამოვიდნენ სომხეთის განათლების სახკომის მოადგილე **ეგიაზარიანი**. მოსკოვის სომხური კულტურის სახლიდან, სომხეთის მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირისაგან, ფაბრიკა-ქარხნებიდან და სხვ. მიღებული მისალმების დეპეშები.

დახსნილ სომხური კულტურის სახლის გამგეობის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ალაქი ვართანიანმა**, რომელმაც აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც შეასრულეს ამხ. ს. **კუდრიავცევმა**, ვ. **პაქრაძემ** და გრ. **არუთინოვმა** ამხ. ლ. ბერიას ამ ინიციატივის განსახორციელებლად — სომხური კულტურის სახლის შესაქმნელად.

ამხ. ვართანიანის წინადადებით საზეიმო სხდომამ მქუხარე ტაშით მისალმებები გაუგზავნა დიდ **სტალინს** და მის საუკეთესო მოწაფეს ამხ. ლ. **ბერიას**. მისივე წინადადებით სხდომამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქ. მთავრობის წინაშე კულტურის სახლისათვის ამხ. მიასნიკოვის სახელის მინიჭების შესახებ.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ორდენოსანი საქართველო ზეიმის წინ

ჩამოდიან დელეგაციები

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ტფილისში დაიწყება ჩამოსვლა მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა წარმომადგენლებისა. გუშინ ტფილისში უკვე ჩამოვიდა უზბეკისტანის დელეგაცია, რომელშიაც შედიან — ამხ. შესაიდოვი, დუსბოევი და ბაკიშევი. დღეს ტფილისში მოელიან უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარეს.

მიღებულია ცნობა, რომ დღეს საღამოს მატარებლებით ტფილისში ჩამოვლენ — რუს-სტახანოველთა დელეგაციები — სვერდლოვსკიდან და კაბაკოვიდან.

დღესვე ტფილისში ჩამოვა აფხაზეთის მშრომელთა დელეგაცია 25 კაცის შემადგენლობით ამხ. ნ. ლაკობას, აგრბას და აფხაზეთის მიწსახკომის — ამხ. ჩალმაზის ხელმძღვანელობით.

ჯილდო მოწინავეებს

— სამკერვალო მრეწველობის სამმართველომ გადასდო 30.000 მანეთი სამკერვალო ფაბრიკების მოწინავე მუშათა დასაჯილდოებლად ძვირფასი ნივთების შესაძენად.

სტახანოველი მკერავები დაჯილდოვებული იქნებიან—პატეფონებით, საკოსტიუმე ნაჭრებით, საათებით, ავეჯით, სანადირო თოფებით და სხვ.

— მთავრობის სახლის მშენებლობის მოწინავე მუშათა დასაჯილდოებლად გადადებულია 12.000 მანეთი.

— მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობის მოწინავე სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დასაჯილდოებლად, მშენებლობის ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ — „ზაკსტროიმ" გადასდო 25000 მანეთი.

— ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობის სამმართველომ დაამთავრა მუშათა საცხოვრებელი დიდი სახლის აგება. ახალ სახლში ბინები მიეცემათ ტყავის ქარხნებისა და ფეხსაცმლის ფაბრიკების საუკეთესო სტახანოველებს.

ბინებით სტახანოველების დაჯილდოება მოხდება 24 თებერვალს მუშათა საერთო საზეიმო საღამოზე.

კონცერტები საწარმოებსა და ფაბრიკებში

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი ზეიმის დღეებში ტფილისის საწარმოებსა და სკოლებში გამართავს კონცერტებს. სტალინის სახელობის ორთქლმავლების შემკეთებელ და ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხნებში ეწყობა მასობრივი სიმღერის წრეები.

საიუბილეო თარიღისათვის კომპოზიტორთა კავშირი გამოსცემს მუსიკალურ და კრიტიკულ ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილი იქნება ქართველ კლასიკოს კომპოზიტორებისადმი — ფალიაშვილის, არაყიშვილის, ბალანჩივაძის და სხვებისადმი.

ქართველი კომპოზიტორები ენერგიულად მუშაობენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის—საიუბილეო თარიღისათვის მთელი რიგი სიმფონიური, კამერული და ვოკალური ნაწარმოებების დასაწერად.

სახელმწიფო კონსერვატორიაში

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის საოპერო სტუდია ტფილისის საოპერო თეატრში მართავს სასწავლო წარმოდგენას — ზ. ფალიაშვილის ოპერას — „აბესალომ და ეთერი". ოპერაში მონაწილეობს 170 კაცი. დირიჟორია ალ. ნასიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი და დამდგმელი დამსახურებული მსახიობი ა. წუწუნავა.

მსხვილი საწარმოების და კონსერვატორიის მიერ შეფობაზე აყვანილ ა.-კ. სამხედრო ოლქის ნაწილების მომსახურებისათვის გამოყოფილია 5 სამხატვრო ბრიგადა. ნიჭიერ ბავშვთა ორი ბრიგადა მომსახურებას უწევს სკოლებს. ბრიგადებზე მიმაგრებული არიან პროფესორები თულაშვილი და ვირსალაძე.

ქართული მუსიკის კაბინეტი აწყობს სახალხო მუსიკალური შემოქმედების (გრამოფონის ჩანაწერები, რიცხვით სამოცამდე) მოსმენას.

სკოლების ისტორია

26 კომუნარის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების თაოსნობით შედგენილია ტფილისის მე-63 და მე-90 სკოლების ისტორია, სადაც ასახულია ამ სკოლათა მდგომარეობა მეფის, მენშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ სკოლების ისტორია კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო განათლებამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

რაიონებში

ჭიათურა

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმისათვის რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში გაიშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა.

მუშები და კოლმეურნენი კისრულობენ ვალდებულებას — საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები.

ჭიათურაში ეწყობა გამოფენა, რომელიც ასახავს რაიონის მიღწევებს 15 წლის მანძილზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ექსპონატები, დიაგრამები, მოდელები, სურათები, რომლებიც მოგვცემენ მარგანეცის წარმოების ზრდის მკაფიო სურათს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სანიმუშო კოლმეურნეობათა ნაწარმი, მოწინავე სტახანოველთა ფოტოსურათები და მათ მიერ გეგმების შესრულების მაჩვენებლები, სასკოლო მუშაობის მიღწევები და ფრიადოსან მოწაფეთა და მასწავლებელთა ფოტოსურათები.

25 თებერვალს ჭიათურაში საფუძველი ჩაეყრება მარგანეცის გამამდიდრებელ ქარხანას. (საქ. კორ.).

ბაღდადი

ბაღდადის რაიონის მშრომელნი განსაკუთრებით ემზადებიან საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმისათვის.

25 თებერვალს ბაღდადის მშრომელნი ზეიმით გახსნიან ახალ ხიდს მდ. ყვირილაზე (ზეკარის გზა).

ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები გამართავენ საზეიმო სხდომას და თვითმოქმედების საღამოს ახლადგახსნილ კლუბში. ახლანდელი კლუბი იტევს 400 კაცს.

25 თებერვალს საფუძველს ჩაუყრიან ახალი კლუბების შენობას რაიონის ორ დიდ კოლმეურნეობაში.

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება 1936 სტახანოვურ წელს ვენახის გაშენების გეგმა შეასრულონ 400 პროცენტით.

რაიონის კოლმეურნეობებში ენერგიულად ემზადებიან საკოლმეურნეო თვითმოქმედების რაიონული მხატვრული ოლიმპიადის გახსნისათვის 25 თებერვალს.

ცაგერი

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე—25 თებერვალს ცაგერის რაიონის მშრომელნი რაიონის ცენტრში გამართავენ დიდ დემონსტრაციას. ამავე დღეს ცაგერში საფუძველს ჩაუყრიან 150 ცხენძალიანი ელსადგურის და სანიმუშო საბავშვო [illegible] შენობებს (საქ. კორ.).

„ბავშვთა მეგობრის" საზოგადოებაში

საქართველოს „ბავშვთა მეგობრის" საზოგადოებამ 1921 წელს დაბადებულ ფრიადოსან პიონერთა დასაჯილდოებლად საქ. ალკკ-ის ა.-კ. სამხარეო კომიტეტს გადასცა 1000 მანეთი.

საზოგადოება პიონერ ხელმძღვანელთა სახლს ბიბლიოთეკის მოსაწყობად აძლევს 500 მანეთს. ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა [illegible] საბავშვო სახლს მიეცემა 200 მანეთი.

თავისი საბავშვო მოედნის ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის საზოგადოებამ გადასდო 400 მანეთი. ლაგოდეხის არასრულ საშუალო რუსულ სკოლას სასწავლო ნივთების შესაძენად გადაეცა 300 მანეთი.

მხატვრული და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებისათვის საზოგადოებამ დააწესა 8 სტიპენდია.

ფაბრიკა-ქარხნებში

აბრეშუმის ფაბრიკაში

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა [illegible] ეკომპლექტებს, გულმკერდს ლამაზად [illegible] ნაირფერი ქსოვილებით, [illegible] ბელადების სურათებით, დროშებით, ლოზუნგებით. ფაბრიკის გასამშვენიერებლად მზადდება [illegible].

ზეიმთან დაკავშირებით ფაბრიკის მუშები თვიურ გეგმას 24 თებერვლისათვის შეასრულებენ. იმავე საღამოს გაიმართება სადღესასწაულო ზეიმი, სადაც დააჯილდოვებენ საუკეთესო სტახანოველებს. [illegible] მონაწილეობის [illegible] ფაბრიკიდან 100 მუშა [illegible].

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა აიღეს ვალდებულება — ფაბრიკის თებერვლის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 22 თებერვლისათვის. გამოშვებული იქნება 15.750 წყვილი სხვადასხვა ფეხსაცმელი, აქედან 10.250 წყვილი საბავშვო. ფაბრიკის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება [illegible]. სტახანოველ ამხ. ბ. კუპრაშვილის ბრიგადამ თავისი ვალდებულება 17 თებერვლისათვის შეასრულა, ხოლო ამხ. მეტრეველის ბრიგადამ — 16 თებერვლისათვის.

ფაბრიკამ შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებით შეასრულა სტახანოვური ხუთდღიური, და 15 თებერვლიდან გადავიდა სტახანოვურ დეკადაზე.

საბჭოთა საქართველოს 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფაბრიკამ ფართო გაშალა მუშაობა მუშათა კულტურ-ყოფაცხოვრებითი პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 25 თებერვალს გაიხსნება [illegible]. ფაბრიკამ გამოყო 18 სტახანოველ და წარჩინებული მუშის ბინები მათი შეკეთების მიზნით. [illegible] ფაბრიკის მუშებისა და მათი ოჯახების [illegible] თვითმოქმედების საღამოში მონაწილეობას მიიღებს ფაბრიკის 40 მუშა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრებში

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი სდგამს გ. ბაბაზოვის ახალ პიესას „ქინქარი". პიესას სდგამს რეჟისორი შ. გამრეკელი და მხატვარი ს. ვირსალაძე, მუსიკა კომპ. ა. შავერზაშვილისა.

ფოიეში ეწყობა თეატრის ექსპონატების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დადგმების მაკეტები, ესკიზები, კარიკატურები და სხვა.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე თეატრთან არსებული ცხრა თვითმოქმედების წრის ნამუშევარი, დადგმების ბავშვთა დახასიათებანი, ბავშვთა გამოხმაურება და შთაბეჭდილებანი, აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა მიერ თეატრისადმი წარდგენილი მოთხოვნილებანი.

24 თებერვალს წარმოდგენა დანიშნულია სწავლების წარჩინებულთათვის—საბჭოთა საქართველოს ტოლებისათვის.

○

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმის აღსანიშნავად მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი ამზადებს პრემიერას—ს. მთვარაძის და გ. გამრეკელის პიესას —„არსენა მარაბდელს". პიესა სომხურად სთარგმნა აფელიანმა. პიესას სდგამს რეჟისორი ა. აბრამიანი, მუსიკა კომპ. შ. მშველიძისა.

25 თებერვალს მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში მოეწყობა თეატრის მუშაკთა შეხვედრა წარჩინებულ მოწაფეებთან. დაიდგმება პიესა — „შორეული გზა". შემდეგ სიტყვებით გამოვლენ მოწაფეები და თეატრის მუშაკები.

თეატრები დემონსტრაციებზე

ტფილისის თეატრები, 25 თებერვალს ტფილისში მოწყობილ საზეიმო დემონსტრაციაში გამოდიან საკუთარი მიღწევათა ჩვენებით. თითოეულ თეატრს ექნება საკუთარი დიდი ავტომობილი, რომელზედაც მოწყობილი იქნება სცენები, ოპერის თეატრი თავის მოძრავ სცენაზე გამოიყვანს —მომღერლებს და მოცეკვავეებს, რომლებიც შეასრულებენ არიებს და სცენებს — „დაისიდან", „აბესალომ და ეთერიდან", „ბახტრიონიდან" და სხვა ოპერებიდან.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის და სხვა თეატრებიც ანალოგიურად გამოვლენ დემონსტრაციებზე.

25 თებერვლის საღამოსათვის თეატრები აგზავნიან მსახიობთა ბრიგადებს სამხედრო ნაწილებში და რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც თეატრები არ არის.

ნეკროლოგი

ექ. ყარამან ფალავა

[illegible] მშრომელთა [illegible] მოულოდნელად გამოაკლდა [illegible] კიდევ ერთი [illegible] ექიმი ყარამან [illegible] დაიბადა 1890 წელს სოფლის მღვდლის ღარიბ ოჯახში და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მომენტიდან დღემდე მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა. 22 წლის საექიმო მოღვაწეობიდან უკანასკნელი 12 წელი ამხ. ყარამანმა გაატარა ჩვენს ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში—ჭიათურაში. სადაც მან მშრომელთა უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. სპეციალობით ბავშვთა ექიმი ამხ. ყარამანი დაუზარებლად დადიოდა მთაგორიან ადგილებში, რათა სიკვდილისათვის გამოეგლიჯა დედ-მამის ნუგეში პატარა ავადმყოფები. და სწორედ ამიტომ იყო, რომ ესოდენ უზომო მწუხარებით გამოაცილეს ჭიათურიდან მისი ცხედარი მუშებმა, [illegible], ძუძუმწოვარ ბავშვთა მისი ინიციატივით შექმნილი კონსულტაციის, მოზარდთა დისპანსერის და სხვ. თანამშრომლებმა. ამხ. ყარამანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ღირსეულად ატარებდა საბჭოთა ექიმის საპატიო სახელს. ამხ. ყარამანის დაკარგვა დიდი დანაკლისია საბჭოთა მედიცინისა და მშრომელი მოსახლეობისათვის.

მშვიდობით, ძვირფასო ყარამან, შენი ნათელი სახე და პატიოსანი შრომა მუდამ წარუშლელი იქნება ჩვენს ხსოვნაში.

პროფ. თიკანაძე, პროფ. ქ. ერისთავი, დოც. ქ. გეგეჭკორი, დოც. პ. ქავთარაძე, ექ. ლ. კუპრაძე, ექ. მთვარაძე, ექ. პ. კავილაძე, ექ. შ. ქიქოძე, მახვილაძე.

საუკეთესო კოლმეურნე-ცხენოსნების დოღი

25 თებერვალს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ტფილისში თავს იყრიან საქართველოს რაიონების საუკეთესო კოლმეურნე-ცხენოსნები. ცხენოსნები დილით მონაწილეობას მიიღებენ დემონსტრაციებში, ხოლო ნაშუადღევს 4 საათისათვის თავს მოიყრიან ტფილისის იპოდრომზე, სადაც პირველად ტფილისში გაიმართება დიდი საკოლმეურნეო დოღი.

დოღი შესდგება ოთხი შეჯიბრებისაგან. პირველი ორი შეჯიბრება დანიშნულია ორ-ორ კილომეტრზე, მესამე — 4 კილომეტრის მანძილზე და მეოთხე — 6 კილომეტრზე. შეჯიბრებებში გამარჯვებულ ცხენებს და მათ მხედრებს მიეცემათ ჯილდოები.

6 კილომეტრიან შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დანიშნულია სამი ჯილდო. პირველი ჯილდოა ნახევარ სისხლიანი 3 წლის ულაყი, რომლის ფასიც 2.000 მანეთია, მეორე ჯილდოა ვერცხლის პატარა ჯამი (1000 მანეთი) და მესამე ჯილდო—პატეფონი ფირფიტებით.

დანარჩენ შეჯიბრებებში გამარჯვებულთათვის დანიშნულია ძვირფასი ჯილდოები. ამჟამად, ცხენოსნების ნაწილი ტფილისში იმყოფება და ვარჯიშობს დოღისათვის.

სულ დოღში მონაწილეობას მიიღებს 50 ცხენი. მათ შორის არიან — დასავლეთ საქართველოში განთქმული ოდიშური ჯიშის ცხენი — „არაბი", რომელიც გამოზარდა ცხაკაიას რაიონის კოლმეურნემ **ვანო შამათავამ**. „არაბი" ჯერ არ დამარცხებულა დასავლეთ საქართველოში გამართულ არც ერთ დოღში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

23 თებერვალს ფასდაკლ. № 95 — შ ა მ ი ლ ი
24 თებერვალს ფ. ორდ. № 96 — შ ა მ ი ლ ი

მუდმივი ადგილების მთელი ღირებულება დაფარული უნდა იქნას თებერვლის 25-ეთ, რის შემდეგ წ. ა. არ დაიშვებიან. დასაწყისი 7 ს. 30 წ.

ოქტომბერი 6.30, 8, 9.30, 11 — დადგმის უკანასკნელი კვირა „უჩინარი ადამიანი"
დაპყრობილი 6.30, 8.30, 10.30 — ხმოვანი ვარიანტი სურათი „დ ე დ ა" მ. გორკის თემის მიხედვით
ახალი ამბები 6.30, 8.30, 10.30 — ხმოვ. ჟურ. 1) საბჭ. საქართვ. № 1—36 წ., 2) დუსია და მარუსია ვინოგრადოვები, 3) ახალ. ამბები № 2
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6.30, 8, 9.30, 11 — დადგმის უკანასკნელი კვირა „ბ უ რ თ ი და გ უ ლ ი"
„ძკ"-ის კომუნ. სახ. 6.30, 8, 10 — ხმოვანი ფილმი „[illegible]"

„სოიუზრიბსბიტი"

1935 წლის ივნისიდან „სოიუზრიბსბიტის" საქართვ. კანტორამ

გააფართოვა თავისი საცალო ვაჭრობის ქსელი და საბითუმო ბაზები

და ამჟამად ტფილისში არსებული ერთი მაღაზიისა, ორი ფარდულისა და ერთი საწყობის ნაცვლად აქვს განშტოებული ქსელი, რომელიც შედგება სამი მაღაზიისა და სამი ფარდულისგან ტფილისში, ერთი მაღაზიისა და ორი ფარდულისგან ბათუმში, ერთი მაღაზიისა და ერთი ფარდულისგან სამტრედიაში, 1 მაღაზიისა და ერთი ფარდულისგან ქუთაისში და ერთი ფარდულისგან ხონში. უახლოეს დღეებში ტფილისში, პლეხანოვის პროსპექტზე № 80-82-ში იხსნება სანიმუშო-სარეკლამო მაღაზია. მაღაზიას ექნება სრული მოწყობილობა, ყინულის საკეთებელი და მაცივარი.

საკანტორამ ტფილისში მოაწყო თევზსაშაშხი ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად უშვებს სამ ტონამდე დამუშავებულ საქონელს სხვადასხვა ასორტიმენტისას. მოწყობილია სპეციალური თევზის ბაზა.

მთელი საცალო ქსელი აწყობს სადღესასწაულო ბაზრობას, როგორც ტფილისში, ისე რაიონებში. ბაზრობაზე იშოვება ყოველგვარი თევზეული და კულინარიის ნაწარმი.

66 „სოიუზრიბსბიტის" საქართველოს კანტორა.

სია საქ. კ. პ. (ბ) წევრთა და წევრობის კანდიდატთა, რომელთაც დაეკარგათ პარტიული და საკანდიდატო ბილეთები (კიროვის რაიონი):

1. ვლადიმერ მოსეს-ძე შიხმანი, პარტბილეთი № 0849136.
2. ალექსანდრა ფარსადანის-ასული ჰელიძე, პარტბილეთი № 0870660.
3. ისაია სარქისის-ძე ვოსკანიანი, პარტბილეთი № 2426764.
4. კალენიკე ყარამანის-ძე გორგაძე, პარტბილეთი № 2489682.
5. ნესტორ სევასტის-ძე გვარამაძე, პარტბილეთი № 2712900.
6. მარიამ კონსტანტინეს-ასული ნადარეიშვილი, საკ. წ. № 21815.
7. დავით სულთანის-ძე აედიევი, საკ. ბ. № 35339.

უფ. რ/კ. მდივანი ს. იუხანოვი.

საქკარაქმრეწვი

ქალ. ტფილისი, კამოს ქ. № 28.

მის სავაჭრო წერტილებში იყიდება:

კარაქი და ყველი ყველა სახისა და ხარისხისა, რძე, არაჟანი, ხაჭო, მაწონი, კეფირი, თაფლი, კონსერვები და კვერცხი.

რძის მიტანა ბინაზე.

მთელი პროდუქცია განსაკუთრებით ახალი და კარგი ხარისხისაა. 13002

ა. წ. 24 თებერვლიდან ა.-კ. რკინიგზების ჯულფა-სამტრედიის უბნის საკონტაქტო ქსელი გადაყვანილ იქნება მაღალ ძაბვაზე

დენით დაზიანებისა და შესაძლო უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად კატეგორიულად აკრძალულია: ბოძებისა და გამწევების შეხება, ბოძებზე ასვლა, ამა თუ იმ საგნით მიახლოვება დენის გამტარ მავთულებთან სადგურებზე და უბნის გადასარბენებზე. [illegible] რაიმე სამუშაოს წარმოება იმ ადგილას, სადაც კავშირის ხაზი და ძლიერდენიანი მავთულები გადაკვეთენ საკონტაქტო ქსელს, შეიძლება მხოლოდ უბნის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უფროსთან შეთანხმების შემდეგ. უბნის უფროსი იმყოფება სამტრედიაში. მასთან უნდა იქნას შეთანხმებული სამუშაოს წარმოების თითოეული ცალკე შემთხვევის წესი და დრო.

ა.-კ. რკინიგზების ელექტროფიკაციის ნაწილის უფროსის მოადგილე თამრაზოვი.

ჭიათურის რაიაღმასკომი და ქალაქის საბჭო იუწყება მოზარდი თაობის მოამაგის და მკურნალის ექიმ ყარამან ნესტორის-ძე ფალავას უდროოდ დაკარგვას. 12925

აბაშის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოწაფეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე კლასის ფრიადოსანი მოწაფის, [illegible] სუსანა კაპარავას უდროოდ დაკარგვის გამო. 12987

[illegible] ლეგიონის მებრძოლთა, [illegible] და პოლიტშემადგენლობა მწუხარებით იუწყება ამავე ლეგიონის [illegible] ამხ. აქვსენტი ნოდიას მამის [illegible] ნოდიას გარდაცვალებას. 12951

კახეთის [illegible] მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ წარმოების [illegible] კოტე ხარაბაძის მამის [illegible] ხარაბაძის გარდაცვალების გამო. 11956

ტფილისის უცხო ენათა კურსების ადმინისტრაცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ კურსების დირექტორს ამხ. დავით ბლაგიძეს მისი დედის მარიამ გიორგის ასულ ბლაგიძის გარდაცვალების გამო. 12981

გულდამწუხრებული ქმარი იოსებ, შვილები: ეკატერინე, კოლია, ვერა, [illegible], ტასო, [illegible] იუწყებიან მელანია ლეჟავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. დაკრძალვა 24 თებერვალს, 4 ს. [illegible] 2. 12994

გულდამწუხრებული [illegible], სიდედრი, ცოლის და ბიძაშვილები და [illegible] იუწყებიან უდროოდ გარდაცვალებულს [illegible] არუთინოვს. გამოსვენება დღეს, 4 ს. ნინოშვილის, 25. კუკიის სასაფლაოზე. 12998

სრულიად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების ყრილობა მწუხარებას გამოთქვამს სომხეთის სახალხო არქიტექტორის აკადემიკოსის ალექსანდრე ივანეს-ძე თამანიანის უდროოდ გარდაცვალების გამო. 12999

გულდამწუხრებული ცოლი [illegible], შვილები: [illegible] ოლღა, [illegible] იუწყებიან [illegible] მამის [illegible] გარდაცვალებას.

გულდამწუხრებული დედა მატა, ძმა [illegible], რძალი აგრაფინა [illegible], ძმისწული შუშანა და სხვა ნათესავები შვილებით იუწყებიან [illegible] გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] (კუკია), დღეს. 12986

ამიერ-კავკასიის [illegible] ცენტრალური გამგეობის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ც. გ. ბუღალტრის შალვა გაბისონიას მამის ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გაბისონიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 თებერვალს მარტყოფში. 12991

ქ.-ბ. ჯანდაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექცია, [illegible] მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას უცხადებენ [illegible] ვენადი ზორბასლიძის გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს, 4 ს. ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან. 12993

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამშენებლო სამმართველოს ადმინისტრაცია და [illegible] პერსონალი მწუხარებას გამოთქვამს ამავე სამმართველოს ინჟინრის [illegible] მამის იულონის გარდაცვალების გამო. 12992